№ 181

1877—1905

№ 181

ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება: ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
[illegible] ბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

# ივერია

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

### რედაქციისაგან

დღევანდელ ნომერთან ტფილისის ხელის მომწერლებს ურიგდებათ

**„ივერიის ბიბლიოთეკა“ № 6.**

შემდეგის შინაარსით: **ნახევარ წიწილა.**—პოემა ვაჟა-ფშაველასი.

**მკვდრები ჩუმად არიან**—მოთხრობა ა. შნიცლერისა.

**„მომხიბლავი ზღაპრი“**—პიესა ი. პოტაპენკოსი.

**ქალაქს გარედ ეს პრემია ხვალინდელ ნომერთან გაიგზავნება.**

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

დღეს, ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება:

**დუბროვსკი**

ოპერა 5 მოქმ. მუს. ნაპრავნიკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დუბროვსკაია, ნიკიტინსკაია, კარპოვა; ბ-ნნი: დონსკოი, კარელინი, სოკოლსკი, დრაკული, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

დირიჟორი ლ. პ. შტეინბერგი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ანონსი: ხვალ, პარასკევს, 7 ოქტომბერს წარმოდ. იქმნება ანჯელო გამბას მონაწილეობით: **ფაუსტი**, ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსი.

შაბათს, 8 ოქტომბერს, „გალა“, წარმოდგენა გაიმართება. წარმ. იქნება „ნერონი“, მუსიკა რუბინშტეინისა. მზადდება წარმოსადგენად ახალი ოთხმოქმედებიანი ოპერა „ზაზა“, მუსიკა ლეონკოვალოსი.

ბილეთები იყიდება.

---

ნაფიცი ვექილი

**ივანე ზურაბიშვილი**

გადავიდა სასამართლოს (Судебная) ქუჩაზე, მდივანის სახლში, 41. (3—3)

---

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**პ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

**ქ. ფ. ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**გ. აფტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაზანახოვი**—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძოლიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ა. გ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

**პ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ხ. აზიანცი**—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

**პ. ა. არდაზიანი.**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **პ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

---

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

---

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

**ივანე პ. ახალშენიშვილი**

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში, ევქალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

---

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გ. ხ. მუსხელიშვილი**—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

---

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.

---

**ბეხბრიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

**ვაჩნაძე ხფირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

---

**ექვთიმე ვაშაკიძე**—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

---

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

## ქართლი განსაცდელშია

—

ძნელად მოიპოვება დედამიწის ზურგზე ისეთი კუთხე, რომელსაც იმდენი აკლება, დაწიოკება და განადგურება გამოეცადოს, როგორც საქართველოს. ჩვენს წარსულში იშვიათად გაითვალისწინებთ წელთა ისეთ ათეულს, რომლის განმავლობაში გარეშე ძალს არ აეკლოს, არ დაერბიოს, არ აეოხრებინოს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ნაწილი მაინც. მტერთა ურდო ერთი მეორეზე თელავდა ქვეყანას და დღეს აყვავებულ მხარეს ხვალ ნაოხარის სახეს აძლევდა ჩვენდა საბედნიეროდ; ისტორიულმა მსვლელობამ მოსპო წინანდელ თარეშობის სისტემა და ცოტად თუ ბევრად ქვეყნიერებაზე დამყარდა მოქალაქობრივი ცხოვრება. ამის გამო შინაურ ცხოვრებას მი[illegible] ყურადღება, თუ ჯერ კიდევ და ომიანობა სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის ყოველ წუთში შესაძლო არის, მაინც შეცდომა არ იქმნება ვთქვათ, რომ რამდენიც დრო მიდის იმდენად ომი მოუხერხებელი ხდება, იმდენად მილიტარიზმი გაკოტრებისაკენ მიიმართვის. ყოველ შემთხვევაში „კულტურულმა“ სახელმწიფოებმა დაამკვიდრეს ომიანობის ისეთი წესები, რომელიც მშვიდ მცხოვრებლების აკლებას კრძალავს და ებრძვის.

დღევანდელი ომი აღარაა წინანდელი ქლეტის, გაძარცვის და განადგურების საშუალება. დღეს რამდენადმე მაინც დაცულია მცხოვრებთა ინტერესები და განუკითხავი აოხრება სუსტდება. ამნაირად ქვეყნიერებაზე მეტი მშვიდობიანობა მყარდება, რაც ხელს უწყობს შინაურ, მოქალაქობრივ განვითარებას. ადამიანს იმედი ეძლევა, რომ მისი ნაოფლარი არ მოისპობა, მისი ნაამაგარი დაცული იქნება და არ აოხრდება. ადამიანის პიროვნებისა და ნამუშევარის უზრუნველ-ყოფა შეურაცხყოფისა და მტაცებლობისაგან მოქალაქობრივი ცხოვრების ელემენტარული მოთხოვნილებაა.

სამწუხაროდ, ჩვენში საზოგადოებრივ ცხოვრებას დღემდისაც ვერ მიეცა ისეთი სახე, რომელიც გარეგნულად მაინც ამყარებდეს მშვიდობიანობას. ასი წლის განმავლობაში ხალხში ვერ დანერგა ისეთი წესი, რომელიც უზრუნველ-ჰყოფდეს ადამიანს დარბევისა და განადგურებისაგან. თავიდანვე ახალ ხანას დაეტყო ხალხის ინტერესების აბუჩად აგდება. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ გენერალ ლაზარევის ბრძანება, რომლითაც მან ჯერ კიდევ 1802 წელს ჯარებს მიმართა:

„აფიცრები თავის გუნებაზე იწვევენ ურმებს და ცხენებს, გროშსაც არ იხდიან ამისთვის და ალატაკებენ მიწის მუშებს; ჯარის კაცები პირად შეურაცხყოფას აყენებენ მცხოვრებლებს, სტაცებენ მათ საქონელს, სურსათს, ნაყოფს, იკლებენ მათ ბაღებს და ბოსტნებს, სვამენ ღვინოებს ქვევრებიდან, ხოლო შემდეგ უგუნური ცელქობით ავსებენ ამ ქვევრებს მიწით. უკვე გასულ წელს ვცადე მე მომესპო ეს ბოროტება, ამჟამად კი ვაცხადებ, რომ აფიცრებს დავატუსაღებ, ჯარის კაცებს კი დაუზოგველად გავაწკეპლინებ“.

აქ აღნიშნული ფაქტი გვიჩვენებს, თუ რამდენ ნაკლებ იყო მცხოვრები უზრუნველ-ყოფილი თავის არსებობაში... გაჭირვებამ, გალატაკებამ ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა. დღე და ღამ შეუსვენებელი მუშაობა, ხოლო მის შედეგად შიმშილი, დამცირება და დაბრიყვება, — ასეთ მდგომარეობაში არსებობა შეუძლებელია. ადრე თუ გვიან, მოთმინების ძარღვი გაწყდება, ხალხი თავისას მოითხოვს. ხალხი თუ ღატაკია, დამშეულია, არა იმიტომ, რომ მან ვერ შესძლოს თავისი სარჩო მოიპოვოს. არა, ის ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ ტანჯვა წვალებით მოპოვებული ლუკმა პური ეკარგება. არსად ჯერ ისეთი ნეტარების ხანა არ დამდგარა, რომ ნაშრომი სავსებით მშრომელს ეკუთვნოდეს, ყოველგან დღეს არსებობს წარმოების ისეთი წესი, რომელიც უმცირესობას საშუალებას აძლევს მიითვისოს უმრავლესობის ნაშრომის ნაწილი. ეს გარემოება ჰქმნის საზოგადოებრივ წინააღმდეგობას, ბრძოლას. ორივე მხარე თავის პოზიციას იცავს: ერთი ცდილობს მეტი წაიღოს, მეორე—თავისი ნაშრომი სავსებით დაისაკუთროს. მართალია, ყოველგან მთავრობა უმცირესობის წარმომადგენელია, მაგრამ კლასობრივი ბრძოლა მაინც განსაზღვრულ ფარგალში თავისუფლად სწარმოებს. მშრომელმა მოიპოვა უფლება ისარგებლოს ზოგიერთ საშუალებებით, რომელიც მის ძალას თანდათან აფართოვებს. დღევანდელ დროში შეუძლებელია მშრომელის ინტერესების სავსებით უკუგდება. ეს არავის არ ძალუძს...

სანახევროდ ბატონ-ყმობის წესზე დარჩენილი ქართლი, დატვირთული ათას—გვარ გადასახადით, მოკლებული ყოველგვარ საშუალებას თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბოლოს ამოძრავდა, შეეცადა გაეუმჯობესებინა თავისი მდგომარეობა, ცოტა სინათლის სხივი დაენახა და ადამიანურ ცხოვრებისაკენ ნაბიჯი გადაედგა.

ჩვენი ოთარბეგები, რასაკვირველია შეწუხდნენ, მათ ეუცხოვათ ხალხის ასეთი მისწრაფება. ურთიერთობა გამწვავდა. ასპარეზზე გამოვიდა ძალა, რომელიც აღარავის ზოგავს, ისედაც გაღატაკებული სოფელი სრულ განადგურების გზას დაადგა. აღარაა არავის დანდობა. აუპატიურებენ არა მარტო დედაკაცებს... ხალხს სახლში აღარ ეცხოვრება. ქვეყანა ოხრდება... რა გვეშველება?!.

პ. სურგულაძე

* * *

## რა დავარქვათ?

—

[illegible] ბელ ძალად სახავენ და საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაშიაც დიდ როლს აკუთვნებენ. მაგრამ თუ ნამდვილ კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებს დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ასეთი აზრი გონების „პროგრესიულობასა“ და „დამოუკიდებლობაზე“ ძალიან და ძალიან გადაჭარბებული არის. ცხოვრებაში ხშირად შეხვდებით ფაქტებს, რომელნიც ქება-დიდების შესხმის ღირსად მიჩნეულ თვისებას ადამიანისას — გონიერებას — კერძო შემთხვევებში ისეთის სახითა და გამოხატულებით წარმოგვიდგენენ, რომ მხურვალე სურვილი საზოგადოდ ადამიანის გონების ხოტბისა ცოტათი უნდა გავიგრილოთ და უნდა აღვიაროთ, რომ გონება კაცისა ნამდვილად ისე დამოუკიდებელი და თავისუფალი არაა, როგორადაც მას მისი თაყვანისმცემელნი გვისახავენ... ყველა ის ქებათა-ქება, დახარჯული სხვადასხვა თეორეტიკოსებისაგან გონების შესამკობად და სადიდებლად, ხელს არ უშლის ამა თუ იმ კერძო ადამიანს ხშირად ისე ილაპარაკოს და ისეთი მოსაზრება გამოსთქვას, რომელიც არა თუ არ მოწმობს გონების დამოუკიდებლობასა და შეუზღუდველობას, არამედ, პირიქით, ცხადად გვიჩვენებს იმავე გონების მონობას და ვიწრო კედლებით შემოზღუდულ იდეურ ატმოსფერაში ყოფნას. არის შემთხვევა, როცა ასეთი გონებრივი მდგომარეობა ადვილი დასანახია, მაგრამ არის აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როცა ეს ისე ადვილი შესამჩნევი არაა და, მოვლენის დასახასიათებლად, საჭირო ხდება უფრო ყურადღებით დაკვირვება და გარემოების ყოველმხრივი აწონ-დაწონვა...

წარმოიდგინეთ, მაგალითად, კაცი, რომელიც ასე ლაპარაკობს ან სწერს: „ამ უკანასკნელ დროს ხანდახან მე ვხედავ ბევრ ისეთ საგნებს და მესმის ბევრი ისეთი რამ, რასაც წინად ვერ ვხედავდი და არც მესმოდა... და ეს, ვფიქრობ, იქიდან წარმოსდგება, რომ ადამიანებს ჰგონიათ, ვითომ ტვინი თავში იდოს. ტყუილია,—ტვინი ქარს მოაქვს კასპიის ზღვის მხარედან... მე აღმოვაჩინე, რომ ჩინეთი და ესპანია ერთი და იგივე ქვეყანაა და რომ მხოლოდ უვიცობის გამო სთვლიან მათ სხვადასხვა სახელმწიფოებად. მე ვურჩევ ყველას,—ქაღალდზე ისპანია დასწერონ და—ეს ჩინეთი იქნება... მე ძალიან მაწუხებს ის ამბავი, რომელიც ხვალ უნდა მოხდეს. ხვალ 7 საათზე საკვირველება მოხდება: მიწა მთვარეს დაეცემა. ამაზე სწერს სახელოვანი ინგლისელი ქიმიკოსი ველინგტონი. უნდა გამოვტყდე, მოუსვენრობა ვიგრძენ, როცა წარმოვიდგინე მთვარის ფრიად დიდი სინაზე და სისუსტე. მთვარეს ხომ ჰამბურგში აკეთებენ და—აკეთებენ საძაგლად. მიკვირს, ამას როგორ არ მიაქცია ყურადღება ინგლისმა. ჰამბურგში მთვარე მებოჭკემ გააკეთა, და, ეტყობა, სულელია, რადგან არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია მთვარეზე. მას აურევია ერთად კუპრწასმული თოკი და ზეითუნის ზეთი. ამიტომაც მთელს დედამიწაზე ისეთი მყრალი სუნი დგას, რომ ცხვირი უნდა დაიცოთ. ამიტომაა ისიც რომ თვითონ მთვარე ნაზი ბურთია, რომელზედაც ადამიანებს არ შეუძლიანთ ცხოვრება და მხოლოდ მარტო ცხვირები ცხოვრობენ. ამიტომაა, რომ ჩვენ ჩვენს ცხვირებს ვერ ვხედავთ, ვინაიდან ყველა ცხვირები მთვარეზეარიან“..

„ოჰ, რა ფლიდი ქმნილებაა ქალი! მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მას ეშმაკი უყვარს. პირველად მე აღმოვაჩინე ეს,—ქალს ეშმაკი ჰყავს შეყვარებული. დიაღ, არ გეხუმრებით. ფიზიკოსები სისულელეს სწერენ: ქალი ესა და ეს არისო,—სისულელეა, ქალს მხოლოდ ეშმაკი უყვარს“!...

ეს სიტყვები ჩვენ არ შეგვითხზავს, მკითხველო. ეს სწერია ერთ რუს მწერლის თხზულებაში, რომელსაც გიმნაზიის მესამე-მეოთხე კლასში აკითხებენ ბავშვებს და, მაშასადამე, თქვენც უჩვენოდ გეცოდინებათ, რომ ამგვარი ფაქტი მოჭორებული არ არის და რომ ასე მოლაპარაკე ადამიანები მოიპოვებიან დედამიწაზე. თუ ამგვარად მოლაპარაკე ადამიანის დახასიათებაზე მიდგება საქმე, უეჭველია, ყველა ადვილად მიხვდება, რომ ზემოდ აღნიშნულ წესით „მოაზრე“ კაცი ძალიან და ძალიან განსხვავდება ჩვეულებრივ ადამიანებისაგან, რომ მისი ლაპარაკი წყნარ ადამიანის ლაპარაკს არა ჰგავს, რადგან ჩვეულებრივი კაცი ცხვირებს არ ეძებს მთვარეზე და ქალის მოარშიყედაც უჩინარი ეშმაკი არ მიაჩნია...

მაგრამ არის სხვაგვარი შემთხვევაც, როცა ადამიანის მდგომარეობა ნალაპარაკევისა ან ნაწერის საფუძვლით ასე მარტივად და ნათლად არა სჩანს... თუმცა აქაც კაცის გონება ეშმაკს სთვლის ქალის სატრფოდ და სიმყრალის მიზეზადაც ზეითუნის ზეთს ასახელებს, მაგრამ ამავე დროს გერმანიას მეგობრობს და ჰამბურგის ნაწარმოებს ყოველ მხრივ უნაკლულოდ ჰპოებს...

სახელდობრ ასეთი შემთხვევაა მაშინ, როდესაც ადამიანს ერთი რაიმე აზრი სრულიად იპყრობს და ამიტომ მის გონებ[illegible] ადამიანი, რომელსაც „[illegible] უსიტყვოდ, ყველაფერს „იმ“ აზრის მიხედვით სჯის და ახასიათებს...

ასეთ მდგომარეობას შეიძლება სხვადასხვა შინაარსი ჰქონდეს. ამ სხვადასხვაობაში ერთ-ერთ შინაარსს შეადგენს უეჭველად ის მოვლენაც, რომელსაც ფანატიზმი ეწოდება და რომელიც, როცა კი ადამიანს დაიპყრობს, აძლევს მას განსხვავებულ ინდივიდუალობას და ტიპიურ თავისებურობას.

ადამიანი არწმუნებს თავის თავს, რომ ყოველი მისი აზრი აუცილებელი ჭეშმარიტებაა, რომ თვითონ იგი ერთად-ერთი უცდომელი განმახორციელებელია ჭეშმარიტებისა, რომ მხოლოდ მას ამოძრავებს მაღალი ზნეობრივი გრძნობა და რომ, მაშასადამე, ყველა სხვანი, ვინც სხვაგვარ აზრს ადგანან და სხვაგვარ შეხედულებას აცხადებენ, არა თუ უვიცნი და შემცდარნი არიან, არამედ პატიოსნების გრძნობასაც არ იცნობენ და განზრახ სიყალბეს სჩადიან.

ამგვარ გონებრივ მიმართულების ადამიანებს ხშირად შეხვდებით ცხოვრებაში და ხანდახან შეხვდებით მწერლობაშიაც. ჩვენს ქართულ პრესაში ამგვარ ტიპის განხორციელება გახლავთ ბ-ნი ფ. მახარაძე, რომელიც თავის სამწერლო „მოღვაწეობაში“ მარტო იმით არ კმაყოფილდება, რომ მოწინააღმდეგეებს უვიცებსა და შეშლილებს ეძახის, არამედ „მოგზაურის“ თითქმის ყოველ ნომერში განზრახ მატყუარების სახელითაც ნათლავს მათ და ამრიგად „მშრომელ ხალხს“ ჰქომაგობს და იფარავს დაღუპვისაგან.

ამ „მწერალმა“ თავის ნაწერებში უთვალავი მაგალითი მოგვცა თავის ზრდილობა-თავაზიანობისა მაგრამ ის, რაც მან „მოგზაურის“ უკანასკ. ნომრებში ააშენა, ყველაფერს მის მიერ წინად ნამოქმედარს აღემატება. იგი დაგვირგვინებაა იმ „სალიტერატურო“ საქმიანობისა, რომელსაც ეს ჩვენი „მწერალი“ დღემდის ეწეოდა.

მან—არც აცივა, არც აცხელა და—ხელად „აღმოაჩინა“, რომ ხალხის მტრები, რომელთაც ხალხის მოტყუება უდევთ გულში, საზღვარგარედ მიდიან სწავლის მისაღებად,—თვითონ ბ-ნ მახარაძეს არ კადრულობენ მასწავლებლად,—და იქ დოქტორის დიპლომებით აღჭურვილნი და აქ, ჩვენში, დაბრუნებულნი, იწყებენ ჩვენს მწერლობაში „მატრაკვეცობას“, ე. ი. ხალხის მოტყუებას. „ყველა მატრაკვეცის მიზანი ის არის,—სწერდა ეს მარილიანი მწერალი „მოგზაურის“ № 34-ში,—რომ თავის სასარგებლოდ ხალხზე გავლენა მოიპოვოს. და, აი, ამისთვის იგი უპირველესად ყოვლისა იძენს ისეთ იარაღს, ანუ პოულობს ისეთ საშუალებას, რომელსაც ხალხის თვალში ყველაზე უფრო დიდი ფასი აქვს. ასეთ საშუალებად ანუ იარაღად ჩვენს დროში უეჭველად სწავლის მიღება ითვლება, და უეჭველად, როცა დიპლომი გაქვს მიღებული. კიდევ უფრო დიდი ფასი ემატება, თუ იგი საზღვარ-გარედ გაქვს მიღებული... როცა შენ რაიმე სამეცნიერო ხარისხი, თუნდ, მაგალ., დოქტორობის ხარისხი გაქვს მიღებული რომელსამე საკითხზე დისერტაციის დაწერისთვის, მაშინ ხომ შენ გზა ხსნილი გაქვს... და, აი, თანამედროვე მატრაკვეცა გამოდის საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოდ. იგი ერევა საზოგადო საქმეებში საკუთარი ხელის მოსახმობად, იგი მიდის საქმეში არა შეგნების შესატანად, არამედ ამ შეგნების გასაქრობად... მას თვინიერ თავის კეთილდღეობისა, თვინიერ თავის კერძო ინტერესებისა სხვა არა სწამს-რა. იგი გამოდის სამწერლო ასპარეზზე; აქაც... რასაკვირველია, თვალთმაქცობაა,—მისთვის მწერლობა იარაღია სამატრაკვეცო მიზნით“...

აი, მკითხველო, ნიმუში უკიდურეს ფანატიზმისა. ცხადია, ასეთ სტრიქონებს ვერ დასწერს კაცი, რომელიც ჩვეულებრივ გონებრივ პროცესის თანახმად მსჯელობს, ვინაიდან, რაც უნდა დარწმუნებული იყოს თავის აზრების სიმართლეში ადამიანი, მას არც ზნეობა და არც გონება ნებას არ მისცემს—სხვებს, რომელნიც ფანატიკურ გონებრივ მონობაში არ იმყოფებიან, მატყუარები დაუძახოს. მაგრამ ბ-ნ მახარაძის მსჯელობის პროცესი არსებითად იგივეა, რაც მთვარეზე ცხვირების მძებნელ კაცისა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პირველი „მოგზაურის“ ბელადია, მეორე კი—ცრუ მეფე ესპანიისა.

ბ-ნ მახარაძის „აღმოჩენა“ ჩვენ აღვნიშნეთ ამას წინად „ივერია“-ში და ჩვენს მკითხველებსაც ვაცნობეთ, რათა ისეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რაც შეიძლება, მალე გაეგო მთელს ქართველობას. მხოლოდ ჩვენ ბ-ნ მახარაძის წერილში ნახსენებ „მატრაკვეცების“ გვარებიც აღვნიშნეთ, რომელნიც საზღვარგარედ წასულან და იქაური „დიპლომი“ მიუღიათ, ჩვენი „ხალხის დასაბრმავებლად და მოსატყუებლად“. ასეთი „დიპლომიანები“ ჩვენში ბევრნი არ არიან; არც იმათი რიცხვია დიდი, რომელნიც ამჟამად სწავლობენ საზღვარგარედ და ბ-ნ მახარაძის სიმბოლო სარწმუნოებისას ღალატობენ, და ამ სურათში გაგვერჩია და დაგვეთვალა სახეები ქართველ ხალხის მოსისხლე მტერ-,,მატრაკვეცებისა‘‘.

ბ-ნ მახარაძეს ვითომ არ მოსწონებია, რომ ჩვენ სინათლეში გამოვიტანეთ მისი უკბილო ინსინუაციები. ,,მოგზაურისავე‘‘ № 35-ში იგი ,,კრიტიკას‘‘ უწევს ,,ივერიას‘‘ და ახალ ,,აღმოჩენას‘‘ ახდენს: ჩვენ თურმე ბურჟუები ვყოფილვართ, რადგან გვითქვამს, რომ „ქართველი გლეხი ღარიბია არა მარტო იმ მიზეზით, რომ იგი მემამულეს დიდ ღალას აძლევს და ბევრს სხვადასხვა გვარ გადასახადს იხდის, არამედ იმიტომაც, რომ იგი გაუნათლებელია, მისი წარმოების ტეხნიკა ძველებურია და შრომა მცირე ნაყოფის მომცემია“. თურმე ეს არაა მართალი აზრი, რადგან ბრძენ ფ. მახარაძეს სიღარიბის მიზეზი მარტო ექსპლოატაცია ჰგონია. ამ „პუბლიცისტს“, რასაკვირველია, არ მოეხსენება, რომ ქვეყნად არიან ისეთი ხალხები, რომლებშიაც არც ბატონ-ყმური, არც ბურჟუაზიული წყობილება არ არსებობს, მიწას მუშა ღალას არავის აძლევს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს გლეხზე ათასჯერ უფრო ღარიბად ცხოვრობს. ღარიბია იგი, რადგან მისი საწარმოვო ტეხნიკა განუვითარებულია და მიწას ბევრ ნაყოფს ვერ აღებინებს.

არა, მკითხველო, ეს უცოდინარობა კი არ არის საკვირველი, არც საგულისხმიერო, — ბ-ნ მახარაძეს აბა რა არ ,,ჰგონია‘‘, — არამედ ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც ბ-ნ მახარაძეს აწერინებს „მატრაკვეცებისთანა“ წერილებს.

მე მგონია, რომ ეს ,,ნერვების ბრალი‘‘ უნდა იყოს. მაგრამ რახან მე ამ სფერაში დილეტანტი ვარ, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი და, სანამ სპეციალისტები სხვა მიზეზს არ იტყვიან, ჩემგან აღნიშნულ მიზეზს ჩემ ,,კერძო აზრად‘‘ მივიჩნევ...

ფ. გოგიჩაიშვილი

* * *

## მომავლის მოლოდინში

—

„როგორც ერი, ისე ენა უტყუარი ფაქტია და ამის უარის ყოფა მხოლოდ ბრმას, სრულიად უვიცს თუ შეუძლიან, თორემ სხვას არავის“,—ამას დღეს ძალა-უნებურად ამბობენ ისინიც, ვისაც ეროვნულ კითხვების გარკვევა ყოველთვის უდიდეს ბოროტ-მოქმედებად მიაჩნდათ,—ამბობდნენ ეროვნების ხსენება აძნელებს კლასსიურ შეგნებას და გზას უხშობს ცხოვრებაში სამოქმედოდ გამოსულ ძალებსო.

ერი—ფაქტია... მაგრამ ყოველ ფაქტს თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს—შეიძლება ამიტომ ესა თუ ის ფაქტი სასიამოვნოთ მივიჩნიოთ და ვეცადოთ მის არსებობის შერჩენას, მაგრამ ამასთან ერთად ისიც არის შესაძლებელი, რომ ფაქტი მავნებლად დავსახოთ და ჩვენი ძალღონე მოვანდომოთ მის სამუდამოდ მოსპობას. არც ერთს საზოგადო მოღვაწეს და ხალხის ნამდვილ გულშემატკივარს არა აქვს უფლება დაკმაყო-

ფილდეს მხოლოდ ამა თუ იმ ფაქტის უბრალო აღნიშვნით და პრაქტიკულ მოქმედებაში მას გვერდი აუხვიოს, გულხელდაკრეფილი შესცქეროდეს იმას, რაც ცხოვრებაში არსებობს...

ავიღოთ მუშათა საკითხი,—ეგეც ფაქტია, ფაქტი უტყუარი და თვალსაჩინო, მაგრამ, რაკი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ფაქტს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რაკი ამ ფაქტში თავს იჩენს ცხოვრებაში არსებული უსამართლობა, ამიტომ ამ უსამართლობასთან ბრძოლა საჭირო გვგონია,—ჩვენ ვაერთებთ არსებულ ძალებს და ვცდილობთ მოვმართოთ ისინი ისე, რომ მოისპოს ერთმანეთზე გაბატონება, ერთმანეთის დამონება და დაბეჩავება: თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი, თავისუფალი საქმით და ამიტომ საკმარისად არ მიგვაჩნია თავისუფლების უბრალო გამოცხადება და გვინდა შევქმნათ და დავამყაროთ ისეთი წესები, რომ ერთმანეთზე გაბატონება შემდეგში მაინც შეიქმნეს შეუძლებელი... რას ვიტყვით იმ ადამიანზე, რომელიც იტყოდა მუშების გაყვლეფა ფაქტი არისო და არ ეცდებოდა ახლავე მუშებს ეკონომიურ განთავისუფლებას?..

ან ავიღოთ კიდევ ის საქმე, რომელიც თავსატეხი შეიქნება ამჟამად ყველასთვის,—სოფლელების მდგომარეობა: სოფლის ყოველმხრივი დაბეჩავებაც ფაქტია და სწორედ ამიტომ ვცდილობთ ჩვენი მოქმედებით განვთავისუფლოთ ყველა, ვინც დღეს სოფელში ეკონომიურად არის დამონებული. იქ, სოფლად როდესაც გლეხების, მშრომელ მეურნეების საკუთრებას ვქმნით და ვადიდებთ, როდესაც ვთხოვთ, რომ მისცეს სოფლელებს ჩამონაჭრები, რომ მათვე დაურიგდეს სხვის ხელში უსარგებლოდ დატოვებული მიწა-ადგილი, ჩვენ კლასსთა ბრძოლის, გაპროლეტარების თეორიები დროებით დავიწყებული გვაქვს და გვინდა მხოლოდ მოვსპოთ ერთმანეთზე გაბატონება და შესაძლოდ გავხადოთ სოფლელთა ბუნებრივი განვითარება. მსხვილ მემამულეს მოიჯარადრე ჰყავს დამონებული,—ეს ფაქტია, ფაქტი უტყუარი, მაგრამ არა სასიამოვნო და ამიტომ მას გვერდს ვერ ავუხვევთ,—პირიქით ვცდილობთ, იგი ახლავე მოისპოს. აქაც საზოგადო მოღვაწე ხდება იძულებული ფაქტის დაფასებაც იცოდეს და ამის მიხედვით მოაწყოს თავისი პრაქტიკული პროგრამა,—აქაც უახლოესი მიზანია ადამიანის განთავისუფლება, მონობის მოსპობა, მოსპობა ფაქტიური, ცხოვრების შესაფერ პირობების მოწყობით.

ასეთივე ფაქტია ერი და ენა, ასეთივე ფაქტია დღეს ზოგიერთების ეროვნული დაბეჩავება. რუსეთში სადაც 130 მილიონ მცხოვრებზე 70 მილიონი არა-რუსია, ხალხის უმცირესი ნაწილი დანარჩენებზე არის გაბატონებული,—ხალხის არა რუსი უმეტესობა იძულებულია შეითვისოს მისთვის უცხო რუსული ენა, თუ უნდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღოს. [illegible] ადამიანი ამ ფაქტის უბრალო აღნიშვნით დაკმაყოფილდეს და თითიც კი არ გაანძრიოს იმისთვის, რომ ეს მონობა ახლავე მოისპოს,—ნუთუ შესაძლებელია მხოლოდ თეორიულად დავგმოთ ეროვნული დაბეჩავება და პრაქტიკულად კი მის საწინააღმდეგოდ არ ვიმოქმედოთ. ედ. ბერნშტეინი თავის ჟურნალის უკანასკნელ ნომერში აღნიშნავს, რომ რუსეთის ყველა არა-რუს ეროვნებაში ხალხის გამოფხიზლებას ორნაირი მიმართულება მიეცა,—სოციალისტური და ეროვნული, რომ უნდათ მოსპონ ეკონომიური მონობა და ეროვნული დაბეჩავებაც. ბერნშტეინი დამონებულ ეროვნებათა განმანთავისუფლებელ ეროვნულ მისწრაფებას კანონიერად აცხადებს და ამბობს: აქა-იქ, ზოგიერთი ჯგუფი დოქტრინიორობას ვერ ასცდენია და ეროვნულ მიმართულებას უარჰყოფსო. ყველგან, ლიტვასა და პოლონეთში, რუთენებში და უკრაინაში, ქართველებსა და სომხებში ქალაქელი და სოფლელი ხალხი სარევოლუციო მიმართულებას ადგება და ბურჟუაზიაც მთავრობის წინააღმდეგობას ადგება,—და ყველგან იწვევს უკმაყოფილებას, როგორც პოლიტიკური და სოციალური, ისე ეროვნული დაბეჩავება (იხ. ს. მონატს ჰეფტე № 9, ქრონიკა). ბერნშტეინი ამბობს, რომ რუსეთში წარმოუდგენელი იყო ეროვნული შევიწროვება და ისეთი ხალხებიც კი, როგორც ბაშკირები არიან, მოითხოვენო თავისთვის ავტონომიას.

ეროვნული შევიწროვება ფაქტია და ამ ეროვნულ შევიწროვების სათავეში სდგას სრულიად რუსეთის ბურჟუაზია, თუ მხოლოდ ერთი რუს ეროვნების ბურჟუაზია, დღეს-დღეობით საქმისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ეროვნული შევიწროვება, სხვადასხვა ერის დამონება დღეს არსებობს და მათ დღესვე საჭიროა მოსპობა. როდესაც მუშათა საკითხის, ან საადგილმამულო საკითხის შესახებ არ შეიძლება ადამიანმა მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა იკმაროს და აუცილებელი ხდება დღეს არსებულ ეკონომიურ დამონების დღესვე მოსპობა, ისე ეროვნულ შევიწროვების მოსპობა დღესვეა საჭირო და არა სიტყვით, არამედ შესაფერ წყობილების შემუშავებით.

განა მუშა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დღეს ეკონომიურად არის დაბეჩავებული, ვერ მოითხოვს ცხოვრების ისეთ პირობებს, რომელიც მის კულტურულ განვითარებისთვის არის საჭირო, განა მხოლოდ ლუკმა-პურისთვის ცხოვრობს ადამიანი? ან იქნება „ხალხის მეთაურები“ ფიქრობენ, რომ საკმარისია თუ „ხალხმა“ მხოლოდ თავისი ეკონომიური მდგომარეობა გაიუმჯობესა, გონებრივი და კულტურული განვითარება კი მისთვის საჭიროდ არ მიაჩნიათ? იტყვიან,—მიგვაჩნიაო, ცილის წამებად ჩასთვლიან, თუ ვინმე მათზე ასეთი ბრალდება წარმოსთქვა. მაგრამ განა ამ ბრალდებას საბუთი არა აქვს იქ, სადაც „მეთაურები“ აღნიშნავენ მხოლოდ „ეროვნულ შევიწროვების“ ფაქტს და ამ შევიწროვების მოსასპობად კი კმარობენ თეორიულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ შემდეგში იმ წყობილების დროს, რომელიც უნდა ოდესმე დამყარდეს დედა-მიწაზე, თავის თავად მოისპობა ეროვნული შევიწროება და ყველა თანასწორი იქნება.

ასეთი დაპირება კარგია, მაგრამ ამ დაპირებით დღეს ეროვნული შევიწროვება არ მოისპობა, დღეს არ მოისპობა ერთ ეროვნების (თუნდ ერთ ეროვნების ბურჟუაზიის) გაბატონება მეორე ეროვნებაზე, საქმეა საჭირო დღეს, კულტურულ და ეროვნულ მონობის მოსასპობად პრაქტიკული საშუალებანია საჭირო.

ან შეიძლება თავი იმართლოს ზოგიერთმა იმითი, რომ მშიერისთვის სულ ერთია, სად მოშივდება მას,—მშიერისთვის, მაგრამ განა ჩვენ მოქმედებას მხოლოდ მშივრები ჰყავს სახეში და მომავალ წყობილებასაც ვქმნით მხოლოდ მშივრებისათვის? ჩვენ უკეთეს აზრისა ვართ ხალხზე და გვგონია, რომ მას გარდა კუჭის დღიურ ინტერესებისა აქვს კიდევ სხვა მოთხოვნილება, კულტურული, რომლის სრული დაკმაყოფილება შეუძლებელია იქ, სადაც ეროვნული დამონება არსებობს.

რუსეთში ხალხი გამოფხიზლების გზას დაადგა,—გამოფხიზლდა ყველა ეროვნება და ყველა ეროვნულ თანასწორობას მოითხოვს. მხოლოდ ზოგიერთი კიდევ აქა-იქ, ძველ დაშნებს ჩვეული და დოქტრინიორობით გატაცებული დღეს კიდევ გაკვრებული გაიძახის, ერი და ენა—ფაქტია“, მაგრამ ეროვნულ საკითხის ხსენება არ შეიძლებაო.

არა! დოქტრინიორობას ბოლო მოეღება ყველგან დედამიწაზე და ხალხი დოქტრინიორობით გატაცებულ „მეთაურს“ ადრე თუ გვიან ჩამოიშორებს, ან აიძულებს, მეტი ყურადღება ათხოვონ ცხოვრების სინამდვილეს და ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებას. ერი და ენა ფაქტია და ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოს იმან, ვისაც არ უნდა, რომ მას დოქტრინიორობა დასწამონ, ან დააბრალონ ეროვნულ დაბეჩავების მომხრეობა.

ის ადამიანი, რომელიც ხედავს ძალმომრეობას და მას არ ებრძვის, თვითონ ძალმომრეობის ხელის შემწყობი ყოფილა,—მის მაღალ სიტყვებს თავისუფლების შესახებ ფასი აღარ აქვს და ის „მეთაური“, რომელიც ხედავს ეროვნულ შევიწროვებას, მას არ ებრძვის და მხოლოდ გულგრილად აღნიშნავს მას, როგორც ფაქტს, ის გაბატონებულთა მომხრე ყოფილა, მას სასურველად მიაჩნია ეს დამონება... რა ფასი აქვს ამის დაფიცებას,—ენის ძალით მოსპობას, ეროვნულ ბრძოლას, ეროვნულ დამონავებას არ თანაუგრძნობო, თუ თითსაც არ გაანძრევს იმისთვის, რომ შეუძლებლად გახადოს ახლავე ეროვნული დაბეჩავება! ცხოვრებამ ნეიტრალობა არ იცის, ცხოვრების ბრძოლაში ყველა ან მომხრეა და ან [illegible] ეროვნული დამონება,—ის ამ დამონების მომხრე ყოფილა,—განზრახ, ან გაუგებრობით!

რუსეთში ახალი წყობილება შემოდის და ყოველი ადამიანი, რომელიც „ამშენებლობას“ კისრულობს, ვალდებულია „აშენების დროს“ ეროვნულ საკითხსაც ანგარიში გაუწიოს საქმით, შესაფერს წესწყობილების შექმნით და არა ისეთ გაურკვეველ სიტყვების თქმით, როგორიც არის თვითგამორკვევა. მომავლის მოლოდინში ისინი ვინც ამ თვითგამორკვევის პრინციპს ადგიან, ამასთან ერთად ვალდებულნიც არიან ეს თვითგამორკვევა შესაძლოდ გახადონ და წინდაწინვე ხალხის სახელით და ხალხის მაგივრად არა სთქვან ის, რაზედაც ხალხს „თავისუფლად“ თავისი აზრი არ გამოუთქვამს. სულ ერთია, ხალხი ხომ იტყვის როდისმე თავის აზრს და მაშინ თავის თავად გამოჩნდება იმათი სიყალბე, ვინც თავის კერძო შეხედულებას ხალხის სურვილად ასაღებს.

ეროვნულ მიმართულების უარის ყოფით ეროვნული დამონება არ მოისპობა, როგორც არ მოისპობა მონობა, თუ მონას აუკრძალეთ ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად. მომავლის მოლოდინში ეს არ უნდა დაივიწყოს ადამიანმა...

ვარ. —ი

## ქართული ენა საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში.

საქართველოს საექსარხოსოში არის სასულიერო უწყების შემდეგი სასწავლებლები: ტფილისის სასულიერო სემინარია, ტფილისის, გორის, თელავის, სენაკის და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლები და ტფილისისა და ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლები. ამ სასწავლებლებში მიღებულია შუაგულ რუსეთის სასწავლებელთა პროგრამები და ქართულ ენას დათმობილი აქვს ადგილი, როგორც ერთ საგანთაგანს. მშობლიურს ენას ამ სასწავლებლებში საპატიო ადგილი არ უკავია.

1883 წლიდან ქართული ენა სავალდებულო საგნად ითვლება ხსენებულს სასწავლებლებში: სასულიერო სასწავლებლის უფროსს ოთხს კლასში ამ საგანს აქვს დათმობილი 12 გაკვეთილი, ხოლო სას. სემინარიაში—10; ამ ათი გაკვეთილიდან სემინარიაში—ორი გაკვეთილი გადადებულია საეკლესიო ისტორიის შესასწავლად რუსულ ენაზე... საერთოდ სასულიერო უწყების სასწავლებლებში მოწაფენი სწავლობენ მშობლიურს ენაზე წერა-კითხვას, მაგრამ ამ ენაზე აზროვნობა, სიტყვითი და წერითი გამოთქმა აზრებისა უძნელდებათ. მოწაფენი შეჩვეულნი არიან რუსულად ფიქრსა—რუსულად ლაპარაკს და აზრების რუსულად გამოთქმას. ტფილისის სასულიერო სემინარიაში ქართულ ენის სწავლებას შემდეგი ხასიათი აქვს: აქ მასწავლებელი აკითხებს საღმრთო წერილის წიგნებს და ზოგიერთს ძნელად გასაგებ სიტყვებს განუმარტავს; აქვე მოწაფეები სწავლობენ ეპისკ. გაბრიელისა, ლეონიდისა და სხვა მქადაგებლების ზოგიერთ მოძღვრებათა შინაარს და ვარჯიშობენ ქადაგებათა შედგენასა და წარმოთქმაში. ქართული საერო მწერლობის სწავლება ნება დართული არაა. ქართულს თხზულებას სწერენ, როგორც სემინარიასა, ისე სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ რუსულის თარგმანით. ხშირად მოხდება, რომ მოწაფე ვერც ქართულად დასწერს კარგს თხზულებას და ვერც რუსულად. სასულიერო უწყების სასწავლებელთა სამოწაფეო წიგნთ საცავებში ძლიერ ცოტაა ქართველ საერო მწერლების ნაწარმოებნი... შეძენა ქართულ საერო ნაწარმოებთა აკრძალულია.

1903 წელს, ამ სასწავლებელთა რევიზია მოახდინა ბ-ნმა დ. ი. ტიხომიროვმა, უწმ. სინოდის სასწავლო კომიტეტის წევრმა, რომლის მოხსენების თანახმად სინოდმა შემდეგი საყოველთაო მოწერილობა გამოუგზავნა სასწავლებელთა გამგეობებს: „საეკლესიო ქართულ ენას საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში საკმაოდ არ ასწავლიან: ეს დროს უქონლობით კი არ აიხსნება, არამედ იმ გარემოებით, რომ მასწავლებლები და მოწაფენი უმთავრესად ყურადღებას აქცევენ სალიტერატურო ქართულ ენის შესწავლას. ამის გამო საჭიროა, ამ სასწავლებლებში უმთავრესად ყურადღება მიექცეს საეკლესიო ქართულ ენას. ამასთანავე ქართული ენა უნდა ისწავლებოდეს რუსულის ენის საშუალებით. სამოსწავლო წიგნთ-საცავები უნდა გულდადებით გასინჯულ იქმნას, რათა იქიდან გამოირიცხოს ყოველივე ის, რაც მოწაფეთა აღზრდის შესაფერი არაა; შემდეგში კი ამ წიგნთ-საცავებისთვის უნდა შეიძინებოდეს ისეთი წიგნები, რომელთა საშუალებით მოსწავლე ახალთაობას შეუძლიან რიგიანად მოემზადოს მომავალ სამწყემსო მოღვაწეობათათვის“...

ამ განკარგულების ძალით უნდა განდევნილ იქმნას სამოსწავლო წიგნთ-საცავებიდან ქართველ საერო მწერალთა ნაწარმოებნი და შემდეგში მათი შეძენა აკრძალულია. თავის თავად ცხადია, რომ ყველა ჩამოთვლილ პირობათა შესრულებით ქართული ენის სწავლება ვერავითარს ნაყოფს ვერ გამოიღებს... რუსულ ენაზე ქართული ენის სწავლება ამ უკანასკნელს მკვდარ ენის საფეხურზე აყენებს...

ამ მდგომარეობაშია ქართულის ენის სწავლების საქმე დღემდის. ბ. ტიხომიროვის გეგმა ჯერ არსად შეუსრულებიათ, ხოლო შემდეგში კი,—არ ვიცით,—საქმე როგორ იქნება...

რა ზომები მიიღეს ქართველმა პედაგოგებმა ქართულის ენის ჯეროვანის სწავლებისათვის სასულიერო უწყების სასწავლებლებში? 1883 წელს, როდესაც უწმ. სინოდმა ქართული ენა იცნა შტატის საგნად და სავალდებულო [illegible] სულიერო სემინარიის მაშინდელმა მასწავლებელმა ბ-ნ თევდორე ჟორდანიამ, შეადგინა პროგრამა ქართულის ენის სწავლებისა. ამ პროგრამაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულს საერო მწერლობას: ძველს და ახალს. ერთის თუ ორის წლის განმავლობაში ბ-ნი ჟორდანია კიდევაც ასწავლიდა ამ პროგრამით...მაგრამ 1885 წლიდან მაშინდელმა რექტორმა დეკანოზმა პაველ ჩუდეცკიმ ეს პროგრამა გააუქმა და შეიმუშავა თვითონ შემოკლებული პროგრამა, რომელშიაც მხოლოდ ცოტაოდენი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულს საერო მწერლობასაც, მაგრამ უწმ. სინოდმა უარჰყო ეს პროგრამაც და დაადგინა მხოლოდ ქართული საეკლესიო წიგნების კითხვის და ქადაგების სწავლება...

1890 წლიდან შემოიღეს ბ-ნი თ. ჟორდანიას პროგრამით საქართველოს საეკლესიო ისტორიის რუსულს ენაზე სწავლება. 1898 წელს ექსარხოსის ნებართვით და ეპისკ. ლეონიდის თავმჯდომარეობით განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც შეადგენდნენ: ეპისკ. კირიონი და მასწავლებლები: ნ. მახათაძე, ი. ფერაძე, ა. ნატროშვილი და ა. გძელიშვილი, შეიმუშავა ქართული ენის უფრო ვრცელი პროგრამა სემინარიისა და სასულიერო სასწავლებელთათვის და წარუდგინა სასულიერო მთავრობას, 1899 წლის თებერვალში.

გავიდა რამდენიმე წელიწადი და პროგრამას განხილვა არ ეღირსეს... ეპისკოპოსმა ლეონიდმა ქუთაისიდან ენერგიულად მოსთხოვა ექსარხოსს ფლავიანეს მისის თავმჯდომარეობით კომისიის მიერ შემუშავებული ქართულის პროგრამის განხილვა... ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ, 1902 წელს, იანვრის თვეში, განიხილა პროგრამა და მოიწონა... ეპისკოპოსის კირიონის საქართველოდან გასვლის ახლო ხანებში, როდესაც ცნობილი დიმიტრი ეპისკოპოსი ალავერდის ეპისკოპოსად იყო უკვე, 1902 წლის ენკენისთვეში, საქართველოს ექსარხოსმა ალექსიმ ეს პროგრამა არ მოიწონა და არც დაამტკიცა. ამის მეოხებით სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებს დარჩათ ისევ ძველი პროგრამა ქართულის ენისა, რომელიც ხსენებულმა კომისიამ საბუთიანად დაჰგმო თავის განმარტებითს წერილში.

1905 წლის ენკენისთვის 15—ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს ამ სემინარიაში ქართულის ენის მასწავლებებმა ი. ი. ფერაძემ წარუდგინა შემდეგი მოხსენება სემინარიაში ქართულის ენის სწავლების შესახებ. „ქართული ენის სწავლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში უნდა განიყოფებოდეს სამს კურსად: ა) კურსად სიტყვიერებისა: ბ) კურსად ისტორიისა და გ) კურსად ღვთის მეტყველებისა. სემინარიის პირველ ოთხს კლასში ისწავლება კურსი სიტყვიერებითი და ისტორიული; სემინარიის მეხუთე და მეექვსე კლასებში, რომელნიც სღვთისმეტყველო კურსებს მოგვაგონებენ, ისწავლება ღვთის მეტყველური კურსი. სასწავლო მასალა ასეა განაწილებული: პირველი კლასი (ორი გაკვეთილი კვირაში): სიტყვიერების თეორია, თეორია კილოსი, პროზისა და პოეზიისა. სახელმძღვანელო: თეორია სიტყვიერებისა ქრისტომატიითურთ. არქმ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა. მეორე კლასი (სამი გაკვეთილი კვირაში): ქართული ძველი სიტყვიერების ისტორია პროფესორის ალ. ხახანაშვილის წიგნის საშუალებით. მესამე კლასი (ორი გაკვეთილი კვირაში): ქართულ ახალ ლიტერატურის ისტორია. კერძოდ გაცნობა: ალ. ჭავჭავაძისა, ნიკ. ბარათაშვილისა, გიორგი ერისთავისა, ანტონოვისა, ავქს. ცაგარლისა, გრიგორ ორბელიანისა, ვახტ. ორბელიანისა, დანიელ ჭონქაძისა, ლავრენტი არდაზიანისა, რაფ. ერისთავისა, ალ. ყაზბეგისა, გიორგი წერეთლისა, ეგ. ინგოროყვასი და მათის საუკეთესო ნაწერებისა, გაცნობა ქართულის საისტორიო მწერლობისა, პუბლიცისტიკისა და პედაგოგიკისა. მეოთხე კლასი, (ორი გაკვეთილი კვირაში): საქართველოს ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო ერთად).

მეხუთე და მეექვსე კლასები (ორ-ორი გაკვეთილი კვირაში): საეკლესიო მქადაგებლობა და სასულიერო მწერლობა. საეკლესიო წიგნების განმარტებითი კითხვა. სავალდებულოა: ა) ქართულის ენის და ლიტერატურის სწავლება მხოლოდ ქართულს ენაზედვე რუსულის ენის დაუხმარებლად; ბ) ქართულ თხზულების წერა რუსულ ენაზე გადაუთარგმნელად; გ) სამოსწავლო წიგნთსაცავში უნდა იყვეს უსათუოდ ყველა ქართველ მწერლების ნაწარმოებნი, დაწესებულ ცენზურისაგან ნება-დართულნი, და მოწაფეებს უნდა ჰქონდეთ სრული უფლება მათის კითხვისა, როგორც გაკვეთილებზე, ისე გაკვეთილთა გარეშე... ქართველ ცოცხალ მწერლების გაცნობა მათის ნაწერების კითხვის საშუალებით მოსწავლეთათვის სავალდებულოა. მასწავლებელმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მათ ამ მწერალთა გაცნობაში“.

ამ მოხსენებას ამ დღეებში განიხილავს სემინარიის გამგეობა.

იმედია, რომ სასულიერო სასწავლებელთა ქართულის ენის მასწავლებელნიც შეიმუშავებენ ამ ენის პროგრამას.

რაც შეეხება ხუცურის კითხვის შესწავლას, ამისთვის საკმაოა სასწავლებელთა და სემინარიის ეკლესიებში წირვა ლოცვა სრულდებოდეს ქართულს ენაზე და მოწაფეები მასში მონაწილეობას იღებდნენ კითხვის და გალობის საშუალებით. ამის მეოხებით ისინი პრაქტიკულად შეისწავლიან საეკლესიო წიგნების კითხვას.

აქამომდე არსებული სწავლების და აღზრდის გეგმა სასულიერო უწყების სასწავლებლებში ყოვლად უვარგისი იყო. აკი ამიტომაც დაჰგმო იგი ქართველმა სამღვდელოებამ და მტკიცედ [illegible] თავის შვილთათვის დაიარსოს საერო ტიპის გიმნაზიები, ხოლო სღვთისმეტყველო ცოდნის შესაძენად დააარსოს ცალკე კურსები, ამ გიმნაზიებისაგან დამოუკიდებლად.

ლი—თეზ.

## მადიარების ცხოვრებიდან

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, უნგრეთსა და სამეფო ტახტს შორის მომხდარმა განხეთქილებამ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო და ამიტომ უმნიშვნელო არ იქმნება მოკლედ დავახასიათოდ უნგრეთში მცხოვრები მადიერები.

მადიერები სრული ბატონები არიან უნგრეთისა, თუმცა საერთო რიცხვი უნგრეთში მცხოვრებ სხვა ერებისა აღემატება მადიართა რიცხვს. 1903 წელს გამოცემულ სტატისტიკურ ცნობებიდანა სჩანს, რომ უნგრეთში სულ 8.742,000 მადიარი ყოფილა, სხვა ერები კი—სლოვაკები, ხორვატები, რუსინები, გერმანელები და რუმინები ერთად—თითქმის 10 მილიონამდე. მაგრამ მაინც მადიარები, როგორც ეროვნული ერთეული, უნგრეთის სხვა ერებზე უფრო მრავალრიცხოვანნი არიან.

ჰაბსბურგის დინასტიას მადიარები შეუერთდნენ 1438 წელს. ამ წლიდანვე დაიწყო განუწყვეტელი ბრძოლა ოსმალებთან, რომელიც მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში დასრულდა. მუდმივი შფოთი და აღრეულობა, მუდმივი სისხლის ღვრა ხელ უშლიდა მადიართა კულტურულ განვითარებას და მეთვრამეტე საუკუნის დასრულებამდე, მადიარებს თავისი საკუთარი კულტურა არა ჰქონიათ. უნგრეთის მოქალაქეთა უმრავლესობა გერმანელები იყო და მადიარები მათ კულტურულ ზეგავლენას ძალაუნებურად ემორჩილებოდნენ.

მადიარების ეროვნულმა შემეცნებამ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში გაშალა ფრთები და მალე შესანიშნავი მებრძოლი მამულიშვილებიც დაჰბადა. სხვათა შორის პოეტები: კიშფალუდი, ვერეშმორტი და პეტეფი მეტად სახელოვანნი არიან.

მაგრამ მადირთა პატრიოტების ოცნებას მალე ბოლო მოეღო. 1849 წელს ავსტრიამ სასტიკად დაამარცხა უნგრეთი და მის შვილთ შავი დღე დააყენა. დიდხან კვნესოდა უნგრეთი ავსტრიის ბრჭყალებში, მხოლოდ ავსტრიის სიდოვისთან დამარცხების შემდეგ, 1867 წ., მოხდა ავსტრო უნგრეთის შეთანხმება, უნგრეთს პოლიტიკური ავტონომია მიენიჭა და მადიარებმაც ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს. მაგრამ ავტონომიამ ყველანი ვერ დააკმაყოფილა. ოპოზიციონურმა პარტიამ ამ ავტონომიას დიდი ნაკლი გამოუნახა და დაიწყო ის მშვიდი, მაგრამ მედგარი ბრძოლა, რომელმაც დღეს უნგრეთისა და სამეფო ტახტის შორის ასეთი განხეთქილება გამოიწვია.

თვითმართველობის მინიჭებამ უნგრეთი საეროვნო კულტურის განვითარების გზაზე დააყენა. 38 წლის განმავლობაში,—რაც მათ ავტონომია მიენიჭათ,—მადირებმა კულტურულად დიდი ნაბიჯი წასდგეს წინ და ბევრი ნაკლიც გაისწორეს. მართალია ამ მსვლელობაში თავისებურობა ბევრი არა გამოუჩენიათ რა და უფრო გერმანელთა კულტურის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ, მაგრამ თავის საზოგადოებრივ ცხოვრების ბევრი დარგი გაიუმჯობესეს. მადიარები უფრო მიმბაძველი ხალხია და დღესაც ვენასა და ავსტრიის დიდი გავლენა აქვს მათ კულტურაზე.

ლამაზი და კოხტა ბუდაპეშტი, რომელსაც 900,000 მცხოვრები ჰყავს, ორიგინალობას ვერ დაიკვეხებს, თუმცა ამ ქალაქში სცემს უმთავრესი ძარღვი მადიართა ეროვნულ ცხოვრებისა. ბუდაპეშტი ვენას უფრო წააგავს და ეროვნული აქ ცოტა რამ მოიპოვება. არც ხუროთ-მოძღვრება, არც განსაკუთრებული ელფერი სატახტო ქალაქის ლიტერატურისა უცხოელს მადირთა კულტურას ვერ გააცნობს. მათი ეროვნული კულტურა უცხოელმა უნგრეთის შორეულ პროვინციებში უნდა ეძებოს და ამისი დრო კი ბევრ უცხოელს არ ექმნება.

კოხტა ბუდაპეშტი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ტყუილად კი არ უწოდებენ მადიარები ამ ქალაქს „პატარა პარიზს“ ცხოვრება აქ მართლა რომ პარიზულადაა მოწყობილი. უნგრეთის მდიდარი თავად-აზნაურობა ძალიან გაცხრომით სცხოვრობს... არც თუ ხელმოკლე მოქალაქე მოსჩანს დაჩაგრულად. ვინც კი დაჰკვირებია მადიართა ცხოვრებას ბუდაპეშტში, ვისაც კი უნახავს მადიარები აქაურ გასართობ ადგილებსა და თეატრებში, იმას ეგონება, რომ უნგრეთის დედა ქალაქში საერთო კეთილ-დღეობა ჰქეფობსო, მაგრამ ოჯახური ცხოვრება მადიარებისა, ბევრით განსხვავდება მის გარეგნულ ყოფა-ქცევისა და ცხოვრებისაგან. ოჯახში მადიარი დიდი ხელმომჭირნეა, ხშირად ბევრ რამეს იკლებს სახლში, რომ გარედ კარგად გაეიდეს, ხალხში თავი გამოიჩინოს.

ბუდაპეშტის ცხოვრება უფრო ყავახანურია. ყველა, ქალი თუ კაცი, თავისუფალ დროს ყავახანაში მიეშურება, ეს არის მადიარისა საყვარელი ადგილი. აქ იგინი სმენ ყავას, ლაპარაკობენ პოლიტიკის შესახებ, ეარშიყებიან საკმაოდ ლამაზ და მოხდენილ ქალებს. ყავახანის სტუმარია ყველა: მინისტრი, პარტიათა მეთაურნი, ლიტერატორები, მეცნიერნი და ყველა გამოჩენილი კაცნი. აქ ისინი ერთმანეთს გულ ახდილად და მოურიდებლად ეკამათებიან, ელაპარაკებიან. სწორედ ამ საოცარ ურთიერთობის ბრალია, რომ მთელ ბუდაპეშტს რაღაც ოჯახური ელფერი ადევს.

ამისდა მიუხედავად, უცხოელს აკვირვებს ბუდაპეშტის ქუჩებში გამეფებული სიწყნარე. მადიარი ამაყი და გულფიცხი არსებაა, მაგრამ, როგორც ეტყობა, თავის შეკავებაც სცოდნია. [illegible] იუმორი—უმთავრესი თვისებაა მადიარისა. მადიართა მრავალი პოეტი და მწერალი ურიგო სატირიკოსები არ არიან. მორის იოკაის გოგოლსა და დიკენსსაც-კი ადარებენ.

პოეზია ძლიერ უყვართ მადიერებს, მაგრამ ჯერ არც ერთ პოეტ-მწერალს სამშობლოს გარეშე დიდი სახელი ვერ მოუხვეჭნია. ყველაზე დიდ ნიჭსა და თავისებურობას მადიარები უფრო მუსიკაში იჩენენ.

საზოგადოდ, მადიარები ცოცხალი ხასიათისა, გულ-ჩქარი და მკვირცხლი მოსაზრების ხალხია და ეს თვისებანი გადააქვთ თავის ლიტერატურასა და პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც. მადარების გულ-ჩქარობა, თვითმოყვარეობა სჩანს მათს ბრძოლაში მეზობელ ერებთან. თუ რამდენად ეჯავრებათ მადიარებს, მაგალითად, გერმანელები, ეს შემდეგი ფაქტიდანაც სჩანს: ამ ათის წლის წინად ბუდაპეშტში დაიწვა გერმანელთა თეატრი (ამ ქალაქში ასი ათასზე მეტი გერმანელი ცხოვრობს) და მადიართა მთავრობა დღემდე ნებას არ აძლევს გერმანელებს ახალი თეატრი აიშენონ.

არტურ ლეისტი.

## ახალი ამბავი

◆ ტფილისის საქალაქო 6-კლასიან სასწავლებლის **მოწაფენი 30 სექტემბრიდან გაიფიცნენ**, სწავლას თავი დაანებეს და სამოსწავლო მთავრობას თავისი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. გაიფიცნენ აგრეთვე, მოწაფენიც რკინის გზის 6-კლასიანისა, კუკიისა და ავლაბრის 3-კლასიან სასწავლებლებისა.

◆ შაბათს, 15 ოქტომბერს, ტფილისში დაიწყება **ახალ ჯარის კაცთა კენჭის ყრა.** საკრებულოს თავმჯდომარეა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, წევრებად პოლკ. მალინინი, პოლიციიდან ბოქაულის თანაშემწე ბაბალოვი, ექიმები ბეზირგანოვი და ზელნიცკი. კენჭს ამოიღებს 600 ყმაწვილი კაცი. სამსახურში გაიყვანებენ 253 კაცს.

◆ გენერალი თაყაიშვილი **განჯიდან დეპეშით იუწყება:** „ქალაქ შუშის სამხედრო პოლიცმეისტერმა დეპეშით მაცნობა, რომ სადარაჯო ადგილზე „ნომერი მე-8“, კლდიდან გადააგდეს მოდარაჯე ჯარის კაცი, დანარჩენ ჯარის კაცთ ყველას თოფები მოჰპარეს, ეჭვი მიიტანეს მე-5 კლასის რეალისტებზე და ტფილისის პოლკის ერთ სომეხ ჯარის კაცზე, რომლებიც დაატუსაღეს.

◆ **ბათომის საოლქო კრება** ერობის შემოღების შესახებ 30 სექტემბერს დამთავრდა. ნამესტნიკის საბჭოში წარმომადგენლად კენჭის ყრით არჩეულ იქმნა გ. დ. ჟურული. საოლქო სათათბიროში აირჩიეს: მამედ-ბეგი, გ. ვოლსკი, სუტკოვსკი, ა. აბაშიძე და რეჯებ მამიკ-ოღლი.

◆ გუშინ, 5 ოქტომბერს, **ტფილისიდან რუსეთს გაემგზავრა** ხმელეთის ჯარების ინსპექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი გენერალ-ადიუტანტი გრიპენბერგი.

◆ ტფილისის მეოთხე ნაწილის გამომძიებელმა სთხოვა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას: შემატყობინეთ ნამდვილი საზღვრები იმ უძრავ მამულებისა, რომელიც ყოფილ ხაზინადარს ა. პ. არდაზიანს ეკუთვნის, რადგანაც სოლქის სასამართლო უამისოდ მის კუთვნილ მამულებს „არესტს“ ვერ დაადებსო.

◆ უწმიდესმა სინოდმა სასინოდო კანტორას გამოუგზავნა 9,800 მან. **სამღვდელოების ჯამაგირების დასარიგებლად.**

◆ **ტფილისის საქონლის სადგურის მუშების საქმე, როგორც იქმნა, გამოირკვა.** ვაგონების დატვირთვა-გადატვირთვის საქმე ჩაიბარეს მოიჯარადრეს ასამაძეს და აკოფოვს. 4 ოქტომბრიდან ყველა ძველმა მუშებმა მუშაობა დაიწყეს.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ: ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებმა მთავარ გამგეობის უფროსს ამ დღეებში **შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს:** „ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის დროს, როდესაც კარში გამოსვლას ვერავინ ბედავდა, როდესაც მთელი ქალაქში გახშირებული სროლა იყო და როდესაც ცეცხლ-წაკიდებულ ქარხნების ალი კონტორას სწვდებოდა, ჩვენ მედგრად და ფეხ-მოუცვლელად ბოლომდის ვასრულებდით ჩვენს სამსახურს. ამ საზარელ ამბების დროს ქალაქში ყველა დაწესებულებანი დაკეტეს, მხოლოდ ფოსტა და ტელეგრაფი შეუწყვეტლივ ასრულებდა თავის ჩვეულებრივ სამუშაოს. მას შემდეგ, რაც ბაქოში სისხლის ღვრა მოისპო, მცხოვრებლებმა გადასცემად აუარებელი დეპეშები მოგვიტანეს, რომელთა შორის სხვადასხვა საზოგადოებანი და მთავრობის დაწესებულებანი შუამდგომლობდნენ, რომ მათ მოსამსახურეთ ფულით დახმარება მიეცეთ. ყველას შუამდგომლობა დააკმაყოფილეს, ყველას დახმარება აღმოუჩინეს, ჩვენ კი დავრჩით ასე... დასასრულ მოხელენი შუამდგომლობენ, რომ იმათაც ფულით დახმარება მიეცეთ“.

◆ ახალ-სენაკი. სამეგრელოს **სასულიერო სასწავლებელი დაიკეტა.** მოსწავლეებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს სასწავლებლის მთავრობას და სწავლას თავი გაანებეს. სწავლა არც სხვა სასწავლებლებშია.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ბრძანება გაუგზავნა ბაქოს გუბერნატორს, დაუყოვნებლივ შეუდგით ბალახან-საბუნჩის **საპოლიციო ნაწილის ახალ შტატის ორგანიზაციასაო.** ეს შტატი დროებით შესდგება. საჭიროა 4 ბოქაული, 4 ბოქაულის თანაშემწე, 8 უბნის ზედამხედველი და 75 გოროდოვოი. ბოქაულს ექმნება წელიწადში 2,000 მან. ჯამაგირი, თანაშემწეთ — 1200 მან., უფროს გოროდოვოებს—540 მან. უნცროს გოროდოვოებს—420 მან. პოლიციაში არ მიიღებენ არც მაჰმადიანებს და არც სომხებს.

◆ ბათუმის ქალაქის მოურავის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისაგან ბათუმის ქალაქის გამგეობას [illegible] დეპეშა მოუვიდა: ქალაქის ყველა შუამდგომლობა კომიტეტმა შეიწყნარაო.

◆ **კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა** სამოსწავლო ოლქის უფროსის მოხსენება თიანეთის ორ კლასიან სასწავლებელთან სამეურნეო და სახელოსნო განყოფილების დაარსების შესახებ.

◆ სახალხო სკოლების დირექტორმა მიიღო განაჩენი სოფ. შუაფხოში (თიანეთის მაზრა) მცხოვრებ ფშავლებისა, რომელნიც ამ სოფელში **სამინისტრო სკოლის დაარსებას თხოულობენ.**

◆ გორის ეპისკოპოს ექვთიმეს საქართველოს ეგზარხოსისათვის პირადად უთხოვნია, შიდა რუსეთის ეპარქიაში გადამიყვანეთო. რადგანაც ხმა დადის, რომ ეგზარხოსის კანცელარიის მართველად ამ კანცელარიისავე მოხელე სოკოლოვი ინიშნება ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ ეგზარხოსს წერილობითი პროტესტი განუცხადა.

◆ სამშაბათს, 4 ოქტომბერს, **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა წლიური კრება იყო დანიშნული.** კრებაზე კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, მაგრამ მაინც არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც კანდიდატთა სია უნდა წარუდგინოს მომავალ 2 ოქტომბრისთვის დანიშნულ კრებას.

◆ გუშინ, 5 ოქტომბერს, ქართველ **ქალთა ვერის სკოლაში გადახდილ იქმნა** პანაშვიდი 29 აგვისტოს ქალაქის საბჭოში ამოხოცილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მოწაფეები და ქართველი ინტელიგენცია დაესწრო.

◆ ს. მალაროსკარის ფშავლებს განუზრახავთ დაარსონ ყველისა და ერბოს საამხანაგო დეპო, რომლის წესდება უკვე შეუდგენიათ და გუბერნატორისათვის გამოუგზავნიათ დასამტკიცებლად.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანი გ. მ. თუმანოვი ამჟამად დაიარება ხმოსნებთან და სამსახურის მსურველთ ხელს აწერინებს.

◆ ამ დღეებში სოფ. საკორინთლოში (გორის მაზრა) ერთს ოსს თავის ვენახში მუშაობის დროს, მეზობლის ვენახში მოუწყვეტია ერთი მტევანი ყურძენი, ეს პატრონს დაუსახავს და დამუქრებია: სოფელში გამოგაცხადებო. ერთი საათის შემდეგ ამ ოსს ხეზე თოკით თავი ჩამოუხრჩვია.

◆ 2 ოქტომბერს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს მუცელში რამდენიმე ალაგას დაჭრილი ვინმე ტრონოვი, რომელსაც თავის თავი დანით დაეჭრა. ჭრილობები რომ შეუხვიეს, ტრონოვი მეორე სართულის ფანჯრიდან გადავარდა, ქვებზე დაეცა და იქვე სული დალია.

◆ ა. ორჯონიკიძისამ პოლიციას გამოუცხადა, ჩემი შვილი **კონსტანტინე ორჯონიკიძე**, 16 წლისა, ეს ერთი კვირაა სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულაო.

## ღია წერილი

### გორის მაზრის თავად-აზნაურთა მიმართ.

ჩვენის ქვეყნის ყოველ მხრიდან ისმის ხმა შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრების აბობოქრებისა. ყველგან დიდი და პატარა ამოძრავდა და ვალად სდებს თავს — თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში.

ამ საზოგადო მოძრაობის დროს, რა გზას დაადგა ჩვენი მაზრის კეთილშობილთა წოდება? შეითვისა მან ჩვენის დროის მოთხოვნილება, რაც გამოიხატება ახლად მოვლენილ მოძრაობაში?

ვერა! იმის მაგივრად, რომ ჩაჰკვირვებოდა მოძრაობის მიზეზს და ამის გვარად ეძია წამალი, იგი ცდილობდა შეუძლებლის შესრულებას: ძალით ფიქრობდა აბობოქრებულ ზღვის დამშვიდებას.

შეიგნო მან სხვისა მოთხოვნილებანი, თუ არა?

ვერა, რადგან, როცა მას შეატყობინეს მოძმის გაჭირება, მან ყური მოიყრუვა.

მოიწადინა რამე ამ წოდებამ შეთანხმებისთვის?

არა, რადგან მან მოლაპარაკება არ მოისურვა.

შეიგნო მან თუ ვერა, რომ ძალა საბოლოოდ ვერას უშველის?

ვერ შეიგნო, რადგან აქამდის ამ ძალას ამოჰფარებია.

რად მოხდა ეს ჩვენში—ქართლში და რატომ ეს არ სდება სხვაგან? რად ჩამოვრჩით ჩვენის ქვეყნის სხვა კუთხეებს და იმათებურად ჩვენც არ ვიყრით თავს, ნამდვილს წმიდის გამოსაძებნად, გაფუჭებულის საქმის გასასწორებლად, გამოსარკვევლად. ნუ თუ კვლავაც არა უნდა ვიზრუნოთ რა, ნუთუ გამწვავება ძმათა და მეზობელთა შორის უფრო და უფრო ფეხს უნდა იკიდებდეს ჩვენში? რატომ ამაზედ ხმას არავინ ვიღებთ?

ეს ხომ ვიცი, ბევრია ჩვენში, რომელიც გულწრფელად ეგებება ახალს დროს! ხომ ბევრია ისეთიც, რომელიც მშვიდობიანობის გულისთვის მაინც ყველა პირობაზე თანხმდება, რადგან იცის, რომ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან!“.

მაშ რაღას გაჩუმებულვართ? რატომ არ მოვიყრით თავს! საშინაო საქმის გასასწორებლად, რად გვინდა უცხო ძალის შეკავება?

გულის სიმწარით წავიკითხე, რომ ჩვენი „მეთაურნი“ კომისიას დასდევენ, რომელიც ირკვევს, გლეხმა რა ზარალი მოუტანა მემამულეს. კომისიას ჯარიც თან დასდევსო, გაზეთებში სწერია.

ვაი, რა ყალბი საშუალება უხმარიათ ჩვენს მეთაურებს ხალხის დასამშვიდებლად! ვაი, რა უფსკრული ითხრება ჩვენში მეზობელთა და წოდებათა შორის! ამ საერთო არევ-დარევის დროს, ყოველი ჩვენგანი, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს მისი ძახილი, მოვალეა ხმა ამოიღოს და თავისი აზრი გამოსთქვას აწმყო მდგომარეობის გაწესრიგებაზე.

მეც სწორედ ამისთვის დავწერე 2 აგვისტოს დიდი წერილი და გავუგზავნე ჩვენს მარშალს თ-დ გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს, სადაც, რამდენადაც ძალა შემწევდა, ვცდილობდი გამომერკვია ჩვენში დაწყებულ მოძრაობის ნამდვილი ფიზიონომია და ბუნება, რა ღონით შეიძლებოდა, საზოგადოებრივი ინტერესების დასაცველად საქმის წარმართვა. ბ-ნ მარშალს იმასაც ვწერდი, რომ საჭიროა შევიგნოთ და დავრწმუნდეთ, რომ ძალით მოძრაობის აღმოფხვრა შეუძლებელია, რომ იგი გამოწვეულია ცხოვრების პირობებით, და მას გაწესრიგება უნდა და არა დახშობა. ბოლოს წერილში ვამბობდი, რომ საჭიროა მარშალმა თავი მოგვიყაროს იმათაც, ვინც ძალაზე კი არ იყურება, არამედ გულწრფელად სურს შეთანხმება და მშვიდობიანობა...

წერილის პასუხი,—თუმცა აგერ მეორე თვეა, რაც მივწერე,—აქამდის არ მომსვლია. ეტყობა, პატივცემული მარშალი არ ეთანხმება ჩემი წერილის დედააზრს.

ეხლა ისღა დამრჩენია, პარდაპირ ჩვენს თავადაზნაურობას მივმართო ამ ღია წერილით, მოვაგონო მას, რა გამწვავება სუფევს ჩვენში და ვკითხო: განა დრო არ არის ეხლა სხვა საშუალებანი გამოვძებნოთ საქმის გასასწორებლად? განა საკმაოდ არ დამტკიცდა, რომ აქამდე მიღებული ზომები უფრო ამწვავებენ მდგომარეობას?

ნუ თუ კვლავ ყურმოჭრილებულნი უნდა ვისხდეთ!

თუ ჩვენს შეკრებაზედ არავინა ფიქრობს, საჭიროა, პრესსის საშუალებით მაინც გვცეთ პასუხი ამ კითხვებს. მეც სწორედ ამიტომ მოვიფიქრე ამ მცირე წერილის დაწერა და ვსთხოვ ჩემს მეზობლებს, რომელთა მიწა-წყალზედაც უფრო არის გამწვავება, ვიდრე სხვაგან, თავისი აზრი გამოსთქვან შემდეგ საგნებზედ:

1) გარდა ძალის ხმარებისა, ნუთუ არ არის სხვა რამე საშუალება, რომ ჩვენში წოდებათა შორის აღძრული ბრძოლა—უთანხმოება მშვიდ კალაპოტში ჩადგეს? კულტურული საშუალება, რომელსაც სარწმუნოდ სამართლიანობა უდევს, ხომ ყველა ძალებზე უძლიერესია!

2) მაზრის სხვადასხვა კუთხეებში რომ მომრიგებელი კომისიები დავაარსოთ, რომელთა წევრნიც ადგილობრივ იქმნებიან არჩეულნი ხალხისგანვე,—მოახერხებენ ისინი თუ არა სადავო საგნის გამორკვევას და მოდავე მხარეების შეთანხმებას? ისე კი, რომ ამ კომისიებს არც ჯარი და არც სხვა რამე ძალა არ ამოუდგენონ. ამ კომისიების უმთავრესი საქმე ის იქმნება, რომ სოფლის მუშას შრომა უფრო შეღავათიანად დაუფასონ.

3) ადგილობრივი ინტერესებისთვის განა სასარგებლო და საჭირო არის, რომ ჩვენი მაზრა ერობის შემოღების შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა ჩვენის სამშობლოს სხვა კუთხეებმა გადასწყვიტეს კიდეც ეს საგანი?

4) საჭირო არის თუ არა მივმართოთ ბ. მარშალს და ვსთხოვოთ მას მოგვილაპარაკოს ყველა ამ საგნებზედ?

გიორგი ყურული.

## ქალთა საკითხი

ორლოვის ერობის საგანგებო კრებაზე 160 ქალის-მიერ ხელმოწერილი პეტიცია განიხილეს. ქალები პოლიტიკურსა და მოქალაქეობრივ უფლებათა გათანასწორებას თხოულობდნენ. კრებამ ხმის უმეტესობით (23 ხმით 14 წინააღმდეგ) უარჰყო ქალთა შუამდგომლობა: ნაადრევიაო.

ნაადრევია!.. თითქო ადამიანის უფლება-მოსილებისა და მოქალაქობის აღდგენა შეიძლება როდისმე ნაადრევად ჩაითვალოს, თითქო დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ასე ძლიერად მოედო მთელს სახელმწიფოს, ერობის წარმომადგენელთაც არ ავალებდეს, რომ საზოგადოების მომწიფებულს მისწრაფებას ანგარიში გაუწიოს, მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას დროიანად კვალში ჩაუდგნენ... ნაადრევია!.. თითქო ქალები იმდენად ჩამორჩენილნი თანამედროვე ცხოვრების ბრძოლას, თითქო მათ გულს კი არ აჩირაღდნებდეს ადამიანური გულისთქმა, მოქალაქობრივი სულთა სწრაფვამა, თითქო იგინი კი იმავე რკინის სალტეში არ იყვნენ გაქანჯულნი, როგორც ყოველი მოქალაქე მამაკაცი... მაშ, სადა აქვს სათავე ასეთს უნდობლობას, ასეთ აბუჩად აგდებას ქალთა უფლებებისას?..

თუ იმისი ეფიქრებათ კონსერვატორებს, რომ ქალები მოუმზადებლები არიან და ღირსეულად ვერ ისარგებლებენ მინიჭებულის უფლებითაო, მაშინ ხომ მით უმეტეს არა არის რა აქ საშიში და სახიფათო. თვალსაჩინო მაგალითი და უტყუარი პასუხი ამისთანა შიშის გასაქარწყლებლად თვალწინა გვაქვს, — ახალ ზელანდიის ცხოვრება და კანონმდებლობა. იქ ქალთა გათანასწორება მამაკაცებთან საბოლოოდ 1894 წ. დააკანონეს, განსაკუთრებულის ბილლით.. მართალია, ახალ-ზელანდიაში გადასახლებულმა ინგლისელებმა ერთბაშად დაჰგმეს და უარჰყვეს ძველი ინგლისური ტრადიციები და ახალ სამშობლოში ახალი კანით შეიმოსნენ; მართალია ისიც, რომ ახალ ზელანდიაში ანგლო-საქსების საუკეთესო ელემენტები მოჰყვნენ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალ-ზელანდიაში ჰმოსახლეობს ადგილობრივ მკვიდრ ველურთა მოდგმაც, რომელთა შედარება არამც თუ ანგლო-საქსებთან, არამედ ჩვენს ქალებთანაც კი არ შეიძლება. ახალმა კანონმა ისინიც კი გაუთანასწორა განათლებულ ახალ მოსახლეთ უფლება-მოსილობის მხრივ, იმათაც კი მიანიჭა თანასწორი მოქალაქობრივი ხმა ქვეყნის მართვა-გამგეობაში...

რუსეთში კი არამც თუ ნაადრევად სთვლიან ქალთა საკითხის წამოყენებას და მისთვის ჯეროვან ანგარიშის გაწევას, არამედ უბრალო კრებებზედაც კი ხორცმეტად მიაჩნიათ ქალების დასწრება და დაუფარავად აცხადებენ ხოლმე: ქალებს დიდ პატივსა ვცემთ, მაგრამ კრებაზე დასწრება მაგათი საქმე არაა, მაგათ თავისი ადგილი აქვთო...

ისიც კი სათქმელია, რომ თუ კონსერვატორები ნაადრევად სთვლიან ქალთა საკითხის ჯეროვანად გადაწყვეტას და წინ ეღობებიან გათანასწორების გზას, მეორის მხრივ არც ქალები იწუხებენ მაინც და მაინც [illegible] მედგარი იერიში ვერ მიაქვთ მმართველ წრეებზე, გაერთიანებულის ძალღონით ვერ იბრძვიან თავის უფლებათა მოსაპოვებლად. თვით იმავე ინგლისის წარსული ნათლად გვიჩვენებს, რომ, სანამ თვით უმრავლესობა არ გამოიღებს თავს თავის ინტერესების დასაცველად, სანამ ქალთა საკითხის მოსარჩლე-იდეოლოგებად გამოდიან კერძო პირები და კანტი-კუნტად ინტელიგენტთა ჯგუფები, ქალთა საკითხი ყოველთვის პირვანდელ მდგომარეობაში დარჩება და წინ ვერა წაიწევს. ინგლისელი ინტელიგენტი არისტოკრატი ქალები დიდი ხანია ცდილობენ, რომ ქვეყნის ერთი ნახევარი მეორისათვის გაეთანასწორებინათ, მაგრამ იმათ დაქსაქსულ, კანტი-კუნტ მოთხოვნილებას უსაქმურობას უწოდებდნენ მმართველი წრეები და მდგომარეობა არსებითად არ იცვლებოდა. დღეს კი როდესაც ინგლისის მუშა ქალების მასსამ აღიმაღლა ხმა და თავის უფლებანი მოითხოვა, პარლამენტმაც ყურადღება მიაქცია.

1901 წ. 29,359 ქარხნის მუშა ქალმა წარუდგინა მოთხოვნილებანი პარლამენტს, რომ მათ თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთ პარლამენტში ქალთა ინტერესების დასაცველად. 1902 წელს ამისთანა პეტიციას 33000 მუშა ქალმა მოაწერა ხელი. ამ რიგად რახან უფლების შეგნებულ მომთხოვნელთა რიცხვი იზრდება, პარლამენტიც იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს მათს მოთხოვნას და ძველებურად ხელის ჩაქნევით ველარ იტყვის: „ეს ქალბატონების მოდის [illegible]“...

რუსეთში... რუსეთში და ჩვენშიაც ჯერ ყველაფერი „ნაადრევია“, რადგან თვით საზოგადოებაში არ არის საკმაო შეგნება და ცნობიერება.

ნ...

## რუსეთი

ამას წინად დეპეშამ გვაუწყა, რომ ჰელსინგფორსის საპყრობილედან სენატის პროკურორის იონსონის მკვლელი ხოხენტალი გაიქცაო. ფინურ გაზეთების სიტყვით, ხოხენტალი სხვის დახმარებით გაქცეულა. ღამე ფანჯრის რკინის მოაჯირი გაუქლიბავს, მეორე სართულიდან გადმომხტარა და ეზოს კედელზე თოკის კიბით ასულა. ეს კიბე გარედან გადმოუგდიათ იმის მშველელს. კედლის ის ადგილი, სადაც ხოხენტალი გადასულა ღამეც მშვენივრად არის განათებული. დარაჯი მხოლოდ ეზოში დადის, გარედან კი კედელს თვალ-ყურს არავინ ადევნებს. ხოხენტალს ისე ადევნებდნენ თვალ-ყურს, რომ მისი გაპარვა შეუძლებლად მიაჩნდათ; საპყრობილის დარაჯები და დირექტორი დღესაც გონს ვერ მოსულან და ვერ გაუგიათ, როგორ გაეპარათ ასეთი საგულისხმო პატიმარი. (ნ. ე.).

◆ „რუს“-ში მოყვანილია მეტად საინტერესო **ხარჯთ-აღრიცხვა საზღვაო სამინისტროსი.** ანგარიშში ზოგან ასეთი წვრილმანი ცნობებია დაბეჭდილი: «კადეტის პერანგის შეკერვაზე დაიხარჯა 35 კაპ.» ამას მოსდევს შემდეგი „ანგარიში“:

1) მუშებს 2,927,440 მ.; 2) ლითონის ყიდვა 823,470 მ.; 3) ხე-ტყე 635,750 მ.; 4) ფეხის ადგილების აშენება კრონშტადტში 25,000 მ.; 5) ფეხის ადგილების აშენება სევასტოპოლში—10,000 მ.

მოდი და გაიგე რამე ასეთი ანგარიშიდან: პერანგის შეკერვა დაჯდა 35 კ., მუშა ხელი კი თითქმის 3 მილიონიო. მაგრამ ამაზე უფრო

## ფელეტონი

ბოდიში ძნელია.—გულწრფელობა საეჭვოა.—
ქუჩა განცხადებებში.

—:—

უკაცრავად, ჩვენ სხვა გვინდოდა, ჩვენ სხვა გვეგონა, ჩვენ სხვას ვფიქრობდით. ჩვენ ვფიქრობდით მგლისა და ბატკნის დამეგობრებაზე, მორიგებაზე, ურთიერთ შორის სიყვარულისა და სათნოების აღორძინებაზე. ჩვენ გვინდოდა საქართველოს აღყვავება, მისი გაბედნიერება, გამშვენიერება, გაძლიერება და, ვინ იცის, კიდევ რა არა, მაგრამ, უკაცრავად, ჩვენ, ვითარცა მცირეწლოვანნი, მოგვატყუეს, გაგვაცრუეს, თვალები აგვიბეს, კლდეზე გადაგვჩეხეს.

გვაპატიეთ, გვაპატიეთ, გვაპატიეთ!

აი, ბოდიშები საქვეყნოდ, აი, თხოვნები საჯაროდ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს უმარჯო თხოვნები ეკუთვნის დაფუძნულ შავრაზმელთა წევრებს, ოდესღაც ბობოქართ, ოდესღაც მახვილით გამოლაშქრებულთ.

კარგი, ძალიან კარგი და პატიოსანი!

გვჯერა, რომ შენანება დიახ გულწრფელია, გვწამს, რომ ეს წევრიანი მცირეწლოვანნი მოტყუვდნენ, გაცრუვდნენ, მაგრამ...

ვისგან?

ეგება თვის მოტყუებულთ როგორ გადაუხადეს თვისი მოტყუება, გაცრუება, საჯაროდ საბოდიშო ქუდის მოხდა?

ჩვენ აქამდე ვერა ვხედავთ ვერც მომტყუებლებს, ვერც მოტყუებულთა მსჯავრს თვის მომტყუებლებზე.

გულწრფელი შენანება კი თხოულობს მეტ სინათლეს, ვიდრე მათს საბოდიშო წერილებშია.

და ვიდრე თვით ისინი არ გამოიყვანენ თვის გამცრუებელთ შარაზე, ვიდრე არ გააკრავენ მათ სამარცხვინო ბოძზე, ძანამდე მათი ბოდიში ბნელია, მათი გულწრფელობა საეჭვოა!

* * *

როგორც საეჭვოა ერთნაირი „თავისუფლება“: ლაპარაკისა, სიარულისა მიხვრა-მოხვრისა, ჯდომისა, დგომისა, სიმღერისა, სიცილისა, ტირილისა.

რას მასხარაობ, ძმაო?—მეტყვით თქვენ.

სრულებითაც არა—გიპასუხებთ და თამამადაც გიპასუხებთ.

შენა გგონია ლაპარაკობ?

სტყუვდები.

ბუნებას რომ თითები არ მოეცა შენთვის, შენსას ვერას გაიგებდნენ.

შენა გგონია სუნთქავ?

სტყუვდები.

სუნთქვას სუფთა ჰაერი უნდა და თავისუფალი ყანჯრატო.

შენ კი ქაობის ბაყაყი ხარ და ყელი ტალახითა გაქვს ამოლესილი!

იქნება გგონია შენს ნებაზე დადიხარ?

სცდები.

თუ ბიჭი ხარ, ნუ გაბრუნდები იქით, საითაც გიბრძანებენ! ნუ იკადრებ გაქცევას, როცა მოგდევენ.

ნუ მიიღებ დაუპატიჟებელ სტუმრებს, როცა გეწვევიან.

მხეცს ბუნაგი თავისუფალი აქვს, შენ კი არა.

და არც კი გრცხვენიან, როდესაც შენს თავს ეძახი ბუნების მეფეს.

აი, თუნდა მე, თქვენი უმორჩილესი მონა: მე მგონია, რომ ვწერ, მაგრამ ვიცი კი რომ, ვცდები. მე უფრო წერტილებით ვლაპარაკობ, ვიდრე სიტყვებით. რათა?

რათა და მიტომ, რომ ჩემსა და თქვენს შორის სდგას ვიღაცა ის აი, ახლაც აჩრდილივით თანა სდევს ჩემს კალამს.

თვით შენ, ჩემო მკითხველო, ბევრჯელ მინახიხარ კარჩაკეტილს ოთახში, აბობოქრებული, აზვირთებული, აღელვებული.

ჰკუმავ მუშტებს, აბრიალებ თვალებს, ვიღაცას ემუქრები, მკლავი გეჭიმება, უცებ იზრდები, ერთ არშინზე მატულობ, მაგრამ საკმარისია „დვორნიკმა“ კარი დააკაკუნოს, რომ გაინაბო, მოილუნო, მოიკუმშო, ყველაფერზე უარი სთქვა და ფეხ-ქვეშ ჩაუვარდე იმას, ვისაც ამ ერთი წუთის წინად ზიზღით იხსენიებდი, აფურთხებდი, ლანძღავდი.

ოჰ!.. რა საბრალო ხარ ამ დროს.

რა საბრალო ხარ ოთახში—ლომო და გარედ კი,—კურდღელო....

ქუჩაზე და არა ოთახში.

გარედ და არა შინ!

საქმით და არა ფრაზებით!

* * *

დილა, ქუჩაზე! და ამ ქუჩამ, სხვათა შორის, მომაგონა გაზეთის ის ნაწილი, სადაც განცხადებები იბეჭდება.

მომაგონა იმიტომ, რომ გაზეთის ამ ადგილას ხშირად იხატება ქუჩა, მთელი ცხოვრება.

არც გრძელ-გრძელი სტატიები, არც რომელიმე დრამა, არც რომელიმე ეკონომისტის ფრაზეოლოგია არ გვეუბნება იმდენს, რამდენსაც გაზეთის ეს მშრალი, ზოლ-შემოვლებული სტრიქონები:

„საჭიროა ძიძა, გამოცდილი, ჯანმრთელი, ნემეცის ქალი“.

ვკითხულობ განცხადებაში და თვალწინ მიდგა ჯიბ-სქელი, ქუდბედიანი, სავსე ბაგაზე დაბმული არსება, რომელიც თვისი ბალღების მომვლელს ჯიშითაც კი არჩევს.

ამავე დროს, ძალაუნებურად, გადადიხარ ქუჩაზე:

აგერ ის, დილის საყვირზე რომ კაბა შეკალთავებული მიეშურება ქარხნისკენ. ვის დაუტოვა მან თავისი ბალღები?

ვისა და ქუჩას.

„მაღაზია №-სა. მოგვივიდა საზღვარგარეთიდან მრავალგვარი საქონელი: მოდის მატერიები, მაუდი, ფლანელი, სუფრები, სალფეთქები და სხვა“—აცხადებს მეორე.

დაფაცურდა დიასახლისი, დაფაცურდა მამასახლისი. ბჭობენ, ანგარიშობენ, ფურცლავენ პრეისკურანტს, მოდების ჟურნალს. („ნივას“ მხოლოდ ამისთვის იწერენ). ერთს მეორეს ამჯობინებენ, იგონებენ ნაცნობებს, ვის რა აცვია, ვის რა უხდება, ვის უკეთესი სერვიზი აქვს სასადილო მაგიდაზე...

იცოდეთ ეს ადვილი გადასაწყვეტი არ არის მათთვის, ეს სახუმარო საქმე არ არის. ხშირად მთელი კვირა, მთელი თვე უჭირავთ ხელში მოდის ჟურნალი, ვიდრე გადასწყვეტდნენ, რა უფრო მოუხდებათ.

გადავიხედოთ ახლა ქუჩაზე:

აგერ მობარბაცებს ვიღაცა. ცარიელ კანზე აცვია დაგლეჯილი პიჯაკი, შალვარი შეხევია, ცალფეხზე კალოში, მეორეზე ყელმოჭრილი წაღა.

აგერ მეორე—გამურული თავიდან ფეხებამდე. უგულოდ და უაზროდ შეჩერდება ხან ერთს დუქანთან, ხან მეორესთან... სჩანს—დიდი ხანია, მოსწყინდა მას ქუჩაზე თრევა. მესამე, მეოთხე, მეხუთე, მთელი ბრბო ამგვარ აჩრდილებისა.

ისინი ეძებენ ლუკმას, ეძებენ პერანგს, ეძებენ თავშესაფარს. მათ განცხადება სახეზე აწერიათ: „სიმშილი“.

„სახლში მოსამსახურე ქალი, ვეძებ ადგილს მხოლოდ მარტოხელ კაცთან“...

ამგვარ განცხადებაზე თქვენ თვითონ იფიქრეთ, რაც გენებოთ; მაგრამ აქაც სჩანს იგივე ქუჩა თვისი განსაკუთრებულის... განცხადებით.

„ვამზადებ საშუალო სასწავლებლის უფროს და უმცროს კლასებში. ადრესი № — აცხადებს რამდენიმე ყოველ დღე.

მაგრამ მათ ხომ დიპლომი აქვთ, მაშასადამე, ბიუროკრატები არიან და, როგორც ბიუროკრატები, დასაგმობნიც. ის დიპლომით ეძებს ლუკმას და არა ცოდნით.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ აბა შეიხედეთ მის ოთახში, უკეთესად ვსთქვათ, მის სარდაფში; ჰკითხეთ, ყოველ-დღე სადილობს თუ არა.

არა, ეს ბიუროკრატი კი არა, ბიუროკრატიის კბილიდან უკან გამოქანებული, დაგორებულია... ის ახლა ქუჩის შვილია.

მას ასწავლიდნენ კაჰკაჰები. თვითონაც გაკაჰკაჰდა და ახლა კაჰკაჰებით სურს იშოვოს ლუკმა, მაგრამ გაივსო კაჰკაჰების ბაზარიც და ის დარჩა ქუჩაზე.

ქუჩაზე... რომელიც თხოულობს შრომას, შრომას სასარგებლოს, ნაყოფიერს. ის მოსწყდა ერთს, ვერ მოსწვდა მეორეს.

ქუჩა დასცინის მის დიპლომს.

ერთის სიტყვით, დღეს ქუჩა გველაპარაკება, ქუჩაა დღეში, ახალი ამბავი, დრამა-ტრაგედია, სცენა, სადაც ყალბი გრძნობით აღელვებული მსახიობი კი არ იქნევს მახვილს გრაკის როლში, არამედ ნამდვილი გმირი.

რით გათავდება ტრაგედია—ამას ქუჩავე გადასწყვეტს...

წავიკითხოთ ერთი განცხადებაც, რადგან ესეც ქუჩას შეეხება:

„ან. პ. ასული №-სა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თვისის საყვარელ მეუღლისას №. პარაკლისი ყოველ დღე, გასვენება სექტემბრის“...

მე ვიცოდი, ვინც იყო და რაც იყო სიცოცხლეში ეს გარდაცვალებული; მაინტერესებდა ნახვა დიდებულის კაცის დასაფლავებისა.

გავეშურე დანიშნულ ადგილს.

მართლაც და აქ ყველაფერი დიდებული იყო. კუბო მშვენიერი, ზოგს თითქმის შურდა კიდეც, ბალდახინი ექვს ცხენიანი, ვერცხლის გვირგვინები, საზოგადოება ბრჭყვიალა და წკრიალა თავიდ-ფეხამდე.

— რა ღირს „კანეცი“? გავეხუმრე ძალიად დამგლოვიარებულ მეეტლეს, რომელსაც ხელი ცხენის აღვირზე ედო.

— თქვენისთანა ოხრებს ფურგუნებით ათრევენ!—წყენით მომიგო მან.

— ვის ასაფლავებენ?—ვკითხე განგებ ერთ უცნობს.

მან მიმითითა ბალიშზე, რომელზედაც რაღაც ნიშნები ეწყო.

— სად არის ესა-და-ეს ამხანაგი?—შევეკითხე ჩემს მეგობარს.

— ფურგუნით გაათრიეს—მომიგო მან და შუბლი შეიკრა.

ვიგონებ „გათრეულს“, ვუყურებ დიდებულ კუბოს, გვირგვინებს, ბალიშს და ძალაუნებურად მინდა შევძახო მეგობრებს:

ნუ სტირით მსხვერპლებს, იმათ სამარეს
გვირგვინი ადგა განთიადისა,
თვით ისტორია იქნება მთხრობლად
მათის გმირულის, დიად ამბისა!

—

სატირელია მხოლოდ მონობის
მოტრფიალე და მისი დამცველი,
იუდას ძეგლზე აღიბეჭდება
იმისი საქმე, მისი სახელი!

ი. ევდოშვილი.

საინტერესოა ის ხარჯი, რომელიც სამინისტროს მოსვლია სხვადასხვა ადმირალებისთვის საკუთარ გემების აშენებაზე და შეკეთებაზე:

1) იახტა „პოლიარნაია ზვეზდა“ ს (ადმირალის იახტაა) ქვაბების გამოცვლაზე გადაიდო 60,000. 2) „პოლიარნაია ზვეზდას„ ავეჯზე 35,000 3) ხელმწიფის გემის „სტანდარტ“-ის სხვადასხვა საჭიროებაზე 47,000 4) „ალექსანდრიას“ აშენებაზე 500,000 მ. 5) საზღვაო მინისტრის გემზე 350,000 მ.

1904 წელს ბობოლების გემებზე დახარჯულა 1,011,000 მანეთი (რ.).

◆ კობეკოს კომისიაში თათრულ პრესსის ცენზორს სმირნოვს მოუთხოვნია, რომ **თათრულ პრესსისთვის ცენზურა უნდა დარჩესო.** კენჭის ყრით კომისიამ ეს წინადადება უარჰყო (ნ.).

◆ საერობო პარტიამ პეტერბურგისთვის ცალკე **საარჩევნო კომიტეტი** აირჩია. კომიტეტის წევრებად არჩეული იქმნენ ცნობილი მოღვაწეები კ. არსენიევი, ვინავერი, კედრინი, მილიუკოვი, ნაბოკოვი, პეტრუნკევიჩი, როდიჩევი, ფეოდოროვი და შნიტნიკოვი (რ.).

◆ პეტერბურგის სახალხო სახლში ერთ **ოფიცერსა და საზოგადოებას შეტაკება მოუხდათ.** აფიცერმა ერთი სალდათი გააჩერა და კიცხვა დაუწყო ფორმის ტანისამოსის გამო. სალდათს საზოგადოება წაესარჩლა (ნ. ვ.).

◆ 27 ოქტომბერს პეტერბურგის სამოსამართლო პალატა **ლიტერატორის მატუშენსკის საქმეს გაარჩევს.** 1 მარტს პეტერბურგში საქველმოქმედო სალამო იყო გამართული ბაქოში დახოცილთა და დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ. სალამო რომ გათავდა, მატუშენსკი წამოდგა და სიტყვა წარმოსთქვა ბაქოს ამბების შესახებ. ორატორი ყველაფერში მთავრობას ამტყუნებდა და საზოგადოებას მთავრობასთან საბრძოლველად იწვევდა.

◆ ამას წინად ნაფიც ვექილის პრჟევალსკის ბინაზე რამდენიმე ლიტერატორი შეიკრიბა. მათ შორის იყო მაქსიმ გორკიც, რომელსაც იმ სალამოს თავისი ახალი პიესა— ,,მზის შვილები‘‘— უნდა წაეკითხა. დაიწყო თუ არა გორკიმ პიესის კითხვა, პოლიცია მოვიდა და დამსწრეთ დაშლა მოსთხოვა. **ლიტერატორები ძალას დაემორჩილნენ** და დაიშალნენ; პიესა წაუკითხავი დარჩა (ნ.).

◆ ,,ნოვოე ვრემიას‘‘ თანამშრომელს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორთან თავ. ობოლენსკისთან უბაასნია ფინლიანდიის შესახებ. ობოლენსკის აზრით, ფინლანდიაში სახიფათო არაფერი მზადდება. ,,ფინლანდიაში,—უთქვამს გენ.-გუბერნატორს,—როგორც პოლონეთში, 20 მილიონი მცხოვრები კი არ არის, არამედ მხოლოდ 2 მილ. 800 ათასი. პეტერბურგიდან ფინლანდიაში ერთ დღეში შეიძლება მთელი დივიზია მოვიყვანოთ. მართალია, იარაღით დატვირთული გემები, იარაღის საწყობები და მსროლელთა საზოგადოებები ამტკიცებენ, რომ **ფინლანდია რუსეთთან საბრძოლველად ემზადება,** მაგრამ აქაც სახიფათო არაფერია. აბა, რა უნდა გაარიგოს პაწაწა ფინლიანდიამ უზარმაზარ რუსეთთან? იარაღის მოტანა კი ადვილია, მაგრამ მისი დარიგება ძნელია. ცოტად თუ ბევრად რაიმე მნიშვნელობა აქვს მსროლელთა საზოგადოებებს, რომელნიც მთელ ფილნიანდიას ბადესავით მოედო. გენ. შაუმანს რეზერვისტების იმედი ჰქონდა და, იმის ანგარიშით, ფინლიანდია საბრძოლველად 120,000 მეომარს გამოიყვანდა, მაგრამ რუსეთმა დროზე მოსპო რეზერვისტების რაზმები და ამით შაუმანის გეგმა გააქარწყლა. ფლოტიც „მიტომ გამოვიწვიე და ჯარიც იმიტომ მოდის ფინლიანდიაში, რომ მთელ ამოდენა ქვეყანაში ძალიან ცოტა ჯარიაო. ერთის სიტყვით, „სახიფათო არაფერია“. ობოლენსკის აზრით, ამბობს გაზეთი „ბრ. კრ.“, ფინლანდიაში სრული მშვიდობიანობაა, ე. ი. ისეთივე სიწყნარეა, როგორც პოლონეთში, კავკასიაში, ბალტიის მხარეში და საზოგადოდ რუსეთის განაპირა ქვეყნებში“ (პ. კ.).

## სასამართლო

**ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლა.** 26 სექტემბერს სამხედრო სასამართლომ საქმის გარჩევა განაგრძო. მდივანმა გამამტყუნებელი ოქმი წაიკითხა. ბრალდებულებმა ზიალიანცმა, მეირაბოვმა, სააკიანცმა, არუთინოვმა და აგასანიანცმა განაცხადეს, ნაკაშიძის მოკვლაში ჩვენ წილი არ გვიდევსო. შემოიყვანეს მოწმე, სამხედრო გამომძიებელი, პოდ. დუბროვსკი რომელსაც ბრალმდებელმა ჰკითხა, სწორედ ჩასწერეთ მოწმის სტრელკოვის ჩვენება თუ არაო? თავჯდომარემ ამ საგანზე ლაპარაკი აკრძალა. ბრალმდებელი თხოულობს ოქმში ჩაიწეროს თავჯდომარის საქციელი. ვექილმა ზარუდნიმ სთხოვა თავჯდომარეს, ნება მოგვეცით დუბროვსკის ორიოდე სიტყვა ვკითხო და პირობას გაძლევთ, რომ საქმეს არსებით არ შევეხებიო. პროკურორმა მოითხოვა, ჩემი პროტესტი ოქმში ჩასწერეთ: მე უარს ვაცხადებ დუბროვსკისაგან ჩვენების ჩამორთმევაზეო.

ზარუდნი ეკითხება დუბროვსკის, როგორ გგონიათ, ვინ არის და რა ხელობის კაცია ის სტრელკოვი, რომელსაც ჩვენება ჩამოართვით? გამომძიებელი **დუბროვსკი.** სტრელკოვი პოლიციის აგენტია, ჯაშუშია. სხვადასხვა ტანისამოსს იცვამდა, გრიმს იკეთებდა და სხ. გამოძიებასა და ჩვენების ჩამორთმევას არავინ დასწრებია, არც პოლიცია და არც ჟანდარმი, მოწმე მაჰმადიანები ამილახვარმა გამოგზავნა ჩვენთან. იმათ სომხებისა ეშინოდათ და ამიტომ პირდაპირ ამილახვართან მისულიყვნენ.

დუბროვსკიმ დაწვრილებით აწერა ჩვენების ჩამორთმევის ისტორია და პროცესი. კრება მეორე დღისთვის გადაიდო. მეორე დღეს პირველად ჩვენება ჩამოართვეს მოწმეს **ქერბალაი მამედ-ოღლის,** რომელმაც სთქვა: „11 მაისს მე და ჩემი ამხანაგი ვრანგელის ქუჩაზე ვიდექით და ვლაპარაკობდით. კუშნაროვის მაღაზიიდან ერთი სომეხი გამოვიდა და იქვე მდგომ თათარ მეხილეს უთხრა, აქედან წადი, თორემ საცაა აქ სროლა ატყდებაო. ასევე გაუმეორა ამ სომეხმა მეორე მეხილეს, რუს დედაკაცსა და ჩვენც. მერე ორ თავის ამხანაგთან მივიდა, რომელნიც იქვე მახლობლად იდგნენ, რაღაცაზე მოელაპარაკა და ისევ მაღაზიაში შევიდა, მეორე სომეხმა, რომელიც აქამდის ქუჩაზე იდგა, ქუჩა ჩამოიარა და ყველას ურჩევდა, აქედგან მოშორდითო. მეხუთე სომეხი, სულ ახალგაზდა და პირტიტველა, ქუჩაზე დადიოდა, რაღაცას ათვალიერებდა და თავის ამხანაგებს რაღაცას ანიშნებდა. ხუთსავე სომეხს ვიცნობ. აი, ყველანი აქ არიან (ბრალდებულებზე უთითებს)- როცა ყუმბარა აფეთქდა, ევენიც და ჩვენც გავიქეცით. ეს ამბავი პოლიციას მაშინვე იმტომ არ შევატყობინე, რომ სომხებისა მეშინოდა, მომკლავენ მეთქი. მერე გავბედეთ და ამილახვარს შევატყობინეთ. 18 აგვისტოს სასამართლოში იმიტომ არ მოვედი, რომ სასამართლოსთან აუარებელი სომხობა იყო შეყრილი. მე შემეშინდა და გავიქეცი. მეორე მოწმემ **ავალიმაც** ქერბალაის ნათქვამი გაიმეორა. თავჯდომარემ სხდომა მეორე დღისთვის გადასდო. ამის შემდეგ ქერბალაი მოსამართლეებს მიუვარდა და დაიყვირა: „ბ-ნო მოსამართლენო! მას შემდეგ, რაც მე ვთქვი, სომხები არ დამინდობენ, მომკლავენ. გთხოვთ დამიფაროთ და დარაჯები გამომაყოლოთ“. თავჯდომარემ ქერბალაის დარაჯები გააყოლა.

მეორე დღეს, 28 სექტემბერს, როტმისტრმა **მოლჩანოვმა** განაცხადა: „მე ვიცოდი, რომ სოციალ-რევოლუციონერებმა ნაკაშიძის მოკვლა გადასწყვიტეს. ამ პარტიაში სომხების გარდა სხვებიც არიან; საზოგადოთ ბაქოში რევოლუციონერების გარდა ბევრი სხვა პარტიაც არის. სომხები ნაკაშიძეს ამტყუნებენ, ვითომ იმან თათრებს იარაღი დაურიგა და სომხების ამოჟლეტას ხელი შეუწყოო. არ ვიცი, როგორი კაცი იყო ნაკაშიძე, მაგრამ ისკი ვიცი, რომ განსვენებული თათრებსაც და სომხებსაც ერთნაირად ექცეოდა.

მოწმემ ბოქაულმა **მამედ-ბეკოვმა** დაწვრილებით მოიგონა ნაკაშიძის მოკვლის ამბავი და სთქვა: „დაჭრილმა მეეტლემ კუშნაროვის მაღაზიისკენ გაიშვირა თითი და მითხრა, აგერ იმ მაღაზიიდან ისროლეს ყუმბარაო. ნაკაშიძეზე ამბობენ, ვითომ ის თათრებს ხელს აფარებდაო, მაგრამ ეს ტყუილია: ნაკაშიძეს თათრებისთვის სახეირო არაფერი გაუკეთებია და თათრებსაც არ უყვარდათ განსვენებული.

**შანშიევი.** მეც ვიცნობ ერთს რუს ჯაშუშს. იმის გვარი არ ვიცი; ამ ჯაშუშმა მითხრა, ნაკაშიძეს ყუმბარა სტუდენტმა ესროლაო. მე ვუთხარი გენ. შირინკინს, მკვლელებს ამოვაჩენ, ოღონდ ბოქაულობა მიბოძეთ მეთქი. შირიკინმა მიპასუხა, ჯერ მკვლელები ჩამაბარეთ და ბოქაულის ადგილს მერე მიიღებთო. მე კი ჯერ ბოქაულობას ვთხოულობდი და ვპირდებოდი, მკვლელებს მერე ჩაგაბარებთ-მეთქი. მე და შირიკინი ვერ მოვრიგდით.

**პროკურორი** ეკითხება შანშიევს, რომელ ეროვნებას ეკუთვნით?

**შანშიევი.** მართლმადიდებელი სომეხი ვარ.

კერძო ვექილმა თუმანოვმა ერთ ბრალდებულზე—აგანასიანცზე სთქვა: ეს ყმაწვილი სწორედ იმ დროს, რა დროსაც ყუმბარამ იფეთქა, ჩემთან იყო და ერთად ვსადილობდით.

## კორესპონდენცია

**ოზურგეთი.** 27—29 სექტემბერს, აქ მოხდა გურიის სამღვდელოების კრებები. უმთავრეს საგანს კრებისას შეადგენდა სკოლის გახსნის საკითხი. კრებამ არსებულ სასულიერო სასწავლებლის შესახებ გადასწყვიტა: რადგან ამ სასულიერო სასწავლებლის სასკოლო სისტემა და რეჟიმი სრულიად არ შეესაბამება ეხლანდელ ცხოვრებას, მასში აღზრდილი ბავშვები მოკლებულ იქმნებიან ყოველსავე მოქალაქობრივ ცოდნას და აქ მიღებული სწავლა ვერაფრად ვერ გამოადგებათ ცხოვრებაში,—ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი დახურულ იქმნას.

შემდეგ ამისა თათბირი გაიმართა იმაზე, თუ რანაირი ტიპის სასწავლებლის გახსნა უნდა მოეთხოვათ. წაიკითხულ და სიტყვა-სიტყვით განხილულ იქმნა იმერეთ-სამეგრელოს სამღვდელოების მიერ შემუშავებული სკოლის პროექტი, რომელიც უვარგისად იქმნა ცნობილი. ხსენებულ პროექტში არსად არ არის ხსენება, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი სასწავლებლის ორგანიზაცია. კრებამ დაადგინა, რომ გახსნას ოთხკლასიანი რეალური პროგიმნაზია და ამისათვის ითხოვოს ნებართვა. შემუშავებულ იქმნა სასწავლებლის პროექტი, რომელიც მოკლედ შემდეგს ამბობს: სკოლაში უნდა ასწავლებოდეს შემდეგი საგნები: 1) საღმთო სჯული (ქართულად), 2) რუსული ენა, 3) სიტყვიერება და ლიტერატურა, 4) კანონები (ქართულად), 5) მსოფლიო ისტორია, 6) გეოგრაფია, 7) ალგებრა, 8) არითმეტიკა, 9) გეომეტრია 10) ბუნების მეტყველება (ქართულად), 11) რომელიმე ახალი ენა, 12) ხატვა-ხაზვა. 13) ჰიგიენა (ქართულად), 14) წერა, 15) გალობა. სასწავლებელში მიიღებიან ყველა დაბალ სასწავლებელში კურს დასრულებულნი, რომელთაც სწავლა ეხლახან შემუშავებულ პროგრამით ექმნებათ მიღებული. ამ რეალურ სასწავლებელში კურს დასრულებულს ნება ეძლევა შევიდეს პირდაპირ სხვა რეალურ სკოლებში, სადაც მეხუთე კლასში უნდა იქმნას მიღებული. ამ სკოლაში შესვლის ნება აქვთ როგორც სასულიერო, ისე საერო პირებს, თუ თავისუფალი ადგილი იქმნება. სასწავლებლის ორგანიზაცია ასე უნდა იქმნას მოწყობილი: სკოლის ზედამხედველს ირჩევს სამღვდელოება. აგრეთვე ირჩევს კიდევ ორ თავის რწმუნებულს. რწმუნებულნი და ზედამხედველი შეადგენენ პედაგოგიურ საბჭოს და ესენი იწვევენ საჭირო მასწავლებლებს. მასწავლებლებს თავიანთ თანამდებობაზე ამტკიცებს ერთის წლის შემდეგ სამღვდელოების სხდომა. ზედამხედველსაც იგივე სხდომა ამტკიცებს მის თანამდებობაზე და სხვ.

ამ სასწავლებლის შესანახად სამღვდელოებამ გადასდო თერთმეტი ათას ოთხას სამოცდა ათი მანეთი (11470 მან.)

ამას გარდა სამღვდელოების კრებამ დაადგინა: 1) რადგან, როგორც ამბობენ, საერო მთავრობას განზრახვა ჰქონია, რომ დრამის ფული ძალით გადაახდევინოს ხალხს და მღვდლებს გარდასცეს, სამღვდელოება კატეგორიულ უარს აცხადებს თოფითა და ხმლით აღებულ ფულის მიღებაზე და ამით თავიდან იცილებს ყოველსავე ზნეობრივ პასუხისმგებლობას; 2) მოითხოვოს ეპისკოპოზის წინაშე, რომ ყოველივე კანცელარიული მიწერ-მოწერა სწარმოებდეს ქართულ ენაზე. ეს იმას გამოიწვევს, რომ ყოფილ ეპისკოპოზს დიმიტრის განკარგულება [illegible]. რომ არამც თუ კანცელარიული მიწერ მოწერა არ შეიძლება ქართულ ენაზე, არამედ ქართულად დაწერილი თხოვნებიც არ უნდა იქმნას მიღებული სამღვდელოების მიეროლ! 3) ჯამაგირებში ჩვეულებრივად აღარ იქმნას გამორიცხული ფული, მაგალითად, „სასულიერო მოამბის“ გამოსაწერი და სხვა ..

ჭინკაი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი ჩვენი წერილი.

გაზეთ „Сынъ Отечества“-ს მე-177 ნომერში, 8 სექტემბრის თარიღით, დაბეჭდილია კორესპონდენცია ტფილისიდან, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „მტკვარზე ნავოსნობის ინსპექტორის თანაშემწე, ტომით რუსი, აუწყებს ჯევათის მაზრის უფროსს: შეტაკება აუცილებელია. თათართა შორის პროპაგანდა იანდათან ფეხს იკიდებს, ოსმალთა ემისარები დერვიშების ტანისამოსში გამოწყობილნი, წრეებს ადგენენ და ქადაგებენ. თუ უცხო ვინმე შენიშნეს, მაშინვე კრიდებიან. თათრები ძალზე გადიდგულდნენ, ხალხს აბრიყვებენ, ძალმომრეობენ. რუსის სოფელ პეტრეპავლოვკაშიაც სუნიტებს მღელვარება ეტყობათ. თათრებმა რუსებზედაც გული აიყარეს, მთავრობა იმდენად სუსტია, რომ სომხთა ამოჟლეტას ხელს ვერ შეუშლის. რუსები გააფთხილეს, თათართა ასალაგმავად საჭიროა ჯარი“. კორესპონდენტის სიტყვით მთავრობის სისუსტემა და უძლურობამ ასე გაათამამა თათრები, რომ „კითხულობენ განა რუსები კიდევ არიან ქვეყანაზე, აკი იაპონიამ სულ გაანადგურა. ვინც იმათ გადარჩა, ჩვენ ამოვჟლეტავთო“. ეს არის ახლა მოვიდა ამბები თათართა სიმხეცისა: ჯევათის მაზრაში ამოუწყვეტიათ ბაღდასაროვის ოჯახობა, ხოლო მისი ქალი სოფელ საზნისენში გაუტაცნიათ“.

ყველა ზემოდ ნათქვამი მტკნარი სიცრუეა. ბაღდასაროვი შურის ძიებისა გამო მოჰკლეს და ამ მკვლელობას ეროვნული სარჩული სრულიადაც არ უძევს, რასაც ის გარემოება ამტკიცებს, რომ ბაღდასაროვთან ერთად მოჰკლეს მისი მოსამსახურე—მუსულმანი.

რადგანაც ეს კორესპონდენცია ჩირქსა სცხებს ჯევათის მაზრის მუსულმანებს, ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერლებმა, გადავწყვიტეთ ასეთის ურცხვის ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის წესით გუჩივლოთ „С. О.“ რედაქტორს და იმ კორესპონდენციის ავტორს.

აზნაური **აბდულლა ბეგ შირალიბეკოვი.**
ვაჭარი **ზამან ჰაჯიევი.**
გლეხი **ჰაჯი ფარზალი მამედოვი.**

## დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

4 ოქტომბერი.

**პოლტავა,** 4 ოქტომბერი. ზენკოვის საერობო კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ხალხის განათლების საქმე ისევ ერობის ხელში გადმოვიდეს.

**ორიოლი,** 4 ოქტომბერი. გრანოვსკის ორმოცდა-ათი წლის გარდაცვალებისა და თავ. ტრუბეცკოის ხსოვნის აღსანიშნავად საბჭომ დაადგინა: საქალაქო სასწავლებელს, რომელსაც ამ ცოტა ხანში დაარსებენ, დაარქვან გრანოვსკის სახელი და დაარსონ იქვე სტიპენდია 100 მან. თავ. ტრუბეცკოის სახელობაზე. გადასწყვიტეს აგრეთვე იმ ქუჩას, რომელზედაც გრანოვსკის სახლი იდგა, გრანოვსკის სახელი დაარქვან და სახლს მიაკრან ფიცარი შესაფერის ზედწარწერით.

**ქრისტიანია,** 4 ოქტომბერი. ნორვეგიაში რესპუბლიკის შემოღების შესახებ აგიტაცია გათავდა. საქმე ჩაიშალა.

**ვენა,** 4 ოქტომბერი. იმპერატორმა მიიღო ფეიერვარის გეგმა საყოველთაო არჩევნების უფლების შესახებ, ხოლო შეზღუდა იმითი, რომ ინტელიგენტებისა და ქონების პატრონთა კლასსებს ეძლევათ ორი ხმა. ჰფიქრობენ, პალატა დაითხოვონ და ახალი არჩევნები მოახდინონ.

**კონსტანტინოგრადი,** 4 ოქტომბერი. მიწის მფლობელთა და გლეხებს კრება ჰქონდათ სახელმწიფო სათათბიროში მომავალ არჩევნების შესახებ. კრებამ გაჰკიცხა მოსკოვის კრების გეგმა, მომეტებულად კი ფედერალიზმი, რადგან ფედერალიზმი, რუსის სახელმწიფოს ძირს გამოუთხრისო. წინადადება შემოიტანეს, ბოიკოტი გამოუცხადონ იმათ, ვინც იმ კრებაში მონაწილეობა მიიღეს და სახელმწიფო სათათბიროში არ შეუშვან. კრებამ დაადგინა მოსკოვის კრების საწინააღმდეგოდ შეიმუშავოს საკუთარი პოლიტიკური გეგმა.

**ლოძი,** ოქტომბერი. უკანასკნელ დღეებში ხოლერით რამდენიმე კაცი გახდა ავად, არავინ მომკვდარა.

**პეტერბურგი,** 4 ოქტომბერი. ნავთის მწარმოებელთა კრებამ მუშის საკითხის განხილვა დაამთავრა. მუშების ორგანიზაციების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ კანონმდებლობის წესით შეიძლება. ნავთის მწარმოებელთა მიერ მიღებული დეპეშები, ვითომ ჯარმა მაითვისა ქარხნებში დატოვებული მოსამსახურეებისა და მუშების ქონება, ნამესტნიკს აცნობეს. პეტერბურგის გაზეთები დღეს არ გამოსულან.

**მოსკოვი,** 4 ოქტომბერი. გაზეთების ასოთამწყობნი დღეს მუშაობას შეუდგნენ.

**კრემენჩუგი,** 3 ოქტომბერი. პრეობრაჟენის ქუჩაზე კაზაკებმა დემონსტრანტები გაჰფანტეს.

**სუჯა,** 4 ოქტომბერი. საერობო გამგეობის შენობაში, ქალთა კავშირის კრებაზე შევიდა ისპრავნიკი უბნის ზედამხედველისა და გოროდოვოების თანხლებით და მოითხოვა, რომ კრება დაშლილიყო. როცა უარი მიიღო, მოითხოვა, რომ კრებაში იმასაც მიეღო მონაწილეობა. თავმჯდომარემ უარი უთხრა. საერობო გამგეობის თავმჯდომარემ თავ. დოლგორუკოვმა ტელეფონით მოითხოვა, რომ კრებას ხელი არ შეუშალონ და შემდეგში თავმჯდომარის დაუკითხავად საერობო გამგეობაში პოლიციას შესვლის ნება არა ჰქონდეს.

**მოსკოვი,** 4 ოქტომბერი. სააგენტოს კორესპონდენტის ცნობებით, წიგნების ასოთ-ამწყობებმა ნება მისცეს გაზეთების ასოთ-ამწყობთ სამშაბათს მუშაობას დაუბრუნდნენ, თუ ვერ შესძლებენ შეაჩერონ სამი გაზეთი, რომლებიც დღესაც გამოდის. სიტინის დიდი სტამბა დასთანხმდა 9 საათის სამუშაო დღის შემოღებაზე და ხელფასის მომატებაზე.

მოსკოვ-ბრესტის რკინის გზამ დაითხოვა 1,500 მუშ. საზოგადოდ რკინის გზებზე მდგომარეობა გამოურკვეველია.

**პეტერბურგი,** 4 ოქტომბერი. რამდენიმე ათასმა კაცმა, რომელიც 2 ოქტომბერს ტრუბეცკოის კუბოს აცილებდა, დემონსტრატიულად გაიარა ნევის პროსპექტი და უნივერსიტეტისკენ გაემართა. პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა და საბჭომ, მიიღეს რა ცნობა პოლიციისა და სტუდენტებს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ, გაზეთებით აუწყეს სტუდენტებს, ეს გარემოება გრადონაჩალნიკს აცნობეთ და საქმის გამოძიება მოვითხოვეთო. გრადონაჩალნიკმა სრული თანხმობა გამოაცხადა.

**ბრიანსკი,** 4 ოქტომბერი. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ტენიშევის თაოსნობით, გუშინ შესდგა რწმუნებულთა კრება, რომელსაც თათბირი ჰქონდა, როგორ მოაწყონ მაზრებში არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში.

**რიგა,** 4 ოქტომბერი. გარდა გემის ამშენებელ ქარხნისა „დანგე და შეიდი“, დანარჩენ ყველა ქარხნის მუშები მუშაობას დაუბრუნდნენ.

**ბაქო,** 4 ოქტომბერი. ნავთის მწარმოებელთ გარდასწყვიტეს მუშაობას შეუდგნენ, თუმცა მუშაობის გაგრძელებას სახიფათოდ სთვლიან.

**ქრისტიანია,** 3 ოქტომბერი. „ვერდენსგანგ“-ის სიტყვით, მეფე ოსკარმა უარი განაცხადა ნორვეგიის სტორტინგის შეკითხვაზე ბერნადოტის სახლობის პრინცის კანდიდატობის შესახებ. ამის შემდეგ ნორვეგიის მთავრობამ მაშინვე მიმართა დანიის პრინცს კარლოსს და სთხოვა, მეფობაზე დათანხმებულიყო. კარლოსმა თანხმობა განაცხადა და სტორტინგი მაშინვე შეუდგა მეფის არჩევას.

**პეტერბურგი,** 4 ოქტომბერი. 2 ოქტომბერს პრივისლინის მხარეში ხოლერით ორი კაცი გახდა ავად. პორტ-საიდი შავი ჭირის მხრივ უზრუნველყოფილია.

**ლისკოვო,** 4 ოქტომბერი. მაკარიევის საერობო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, 9 ხმის უმეტესობით 6 წინააღმდეგ, შემდეგი რეზოლუცია მიიღო: თუმცა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ გამოცემულ კანონს დიდი ნაკლი აქვს, მაგრამ კრებას მაინც ჰგონია, რომ ამ კანონის ძალით სათათბიროში შეიძლება არჩეულ იქმნენ ისეთი პირები, რომელთა ნაყოფიერი მოღვაწეობა მოაწესრიგებს სახელმწიფოს ცხოვრებას, ქვეყნის საკეთილდღეოდ, მხოლოდ საჭიროა, რომ სათათბიროს წევრნი გულდასმით მოიქცნენ. ხოლო თუ წევრნი თავის უფლების გაფართოებისათვის რადიკალურ ღონეებს მიეცემიან, მაშინ ისეთი ანარქია გამეფდება, რომელსაც ბოლოს მარტო დიქტატორული ზომები მოუღებსო.

**პეტერბურგი,** 4 ოქტომბერი. ოდესის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ნოვოჩერკასის კაზაკთა იუნკრების სასწავლებლის პოდესაულის აგრაამოვისა, რომელმაც აპრილში მოჰკლა უმთავრეს შტაბის პოდპოლკოვნიკი ვიშნსკი და თავის ცოლის მოკვლაც უნდოდა. სასამართლომ აგრაამოვს 3 წლით და 9 თვით პატიმართა განყოფილება მიუსაჯა.

სახალხო განათლების მინისტრის თავჯდომარეობით დაიწყო მუშაობა იმ კომისიამ, რომელმაც საშუალო სასწავლებლებში რეფორმა უნდა მოახდინოს.

5 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა კომიტეტი მალე გაუქმებული იქნება. 3 ოქტომბერს მინისტრთა საბჭოში პირველი სხდომა იყო მინისტრთა გაერთიანების შესახებ საკითხის გამოსარკვევად. ვიტტემ განაცხადა მინისტრთა მოქმედების გაერთიანება აუცილებელი არის, თუმცა მე მისგან პრაქტიკულ შედეგს არ მოველიო.

ამ დღეებში პეტერბურგში მოელიან უცხოელ ფინანსისტების ჩამოსვლას. ამ ჩამოსვლას მოსალოდნელ სესხთან აკავშირებენ.

**მოსკოვი.** გენერალმა შენიავსკიმ, რომელმაც სახალხო უნივერსიტეტის დასაარსებლად ქალაქს მოსკოვს მამული შესწირა, სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა ამ საქმეში დახმარების შესახებ. სამინისტროც დაჰპირდა რომ საქმეს დააჩქარებს.

**მოსკოვი.** ასოთ-ამწყობების, მექანიკურ სახელოსნოების, დურგლების, თუთუნის ქარხნების და სხვა დარგის მუშათა წარმომადგენლების კრებამ გადასწყვიტა მთელ მოსკოვისათვის დაარსონ ერთი საერობო საბჭო.—ტრუბეცკოის დასაფლავების დროს ხიდთან ცხენოსანი და ქვეითა ჯარი იდგა და გზას უჭრიდა დემონსტრაციას. მაშინ ხალხმა დაიწყო სახლებში ფანჯრების მტვრევა, კაზაკებსაც ქვები დაუშინეს. შეტაკების დროს კაზაკებმა გაფანტეს ხალხი, ზოგი ეზოებში შერეკეს. ოცზე მეტია დატუსაღებული. — ბრესტის რკინის გზის მუშებმა მუშაობა ისევ დაიწყეს. საერთო გაფიცვა ვერ მოხერხდა. სხვა კრებებს გარდა ოქტომბერში ქალთა კრებაც იქნება. საერთო პროგრამმა არის—არჩევნები სათათბიროში.

**ოპატოვი.** მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის დატუსაღებულია 13 კაცი სამი თვით, 12 ორი თვით, 28—ერთი დღით და 4 ერთი კვირით.

**პეტერბურგი.** უმაღლეს ბრძანების ძალით, ლინევიჩი გენერალ-ადიუტანტად დაინიშნა ახლანდელ სამსახურის შერჩენით. მინისტრ ლამსდორფს მის მრავალ ღვაწლის ჯილდოთ მიეცა პირველი ხარისხის ვლადიმირის ორდენი.

**სოლვიჩეგოდსკი.** საერობო კრებამ გადაწყვიტა ყოველ ამომრჩეველს გზის ხარჯათ მისცეს 25 მანეთი.

**ვარშავა.** პროფესორების ერთმა ნაწილმა გაკიცხა პროფესორ ვულფის [illegible] რომელმაც ,,'ინ ოტეჩესტვაში‘‘ დაბეჭდა წერილი ვარშავის უნივერსიტეტის შესახებ. სხვებმა, რეფორმების მომხრეებმა, წერილის ავტორს თანაგრძნობა გამოუცხადეს. უნივერსიტეტის საბჭომ არ დააკმაყოფილა რუს სტუდენტების საერთო თხოვნა სხვა უნივერსიტეტებში გადაყვანის შესახებ. პოლონელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ მოსკოვის უნივერსიტეტს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო.

**სუჯა.** ზასლოშენკოს გლეხობამ საერობო კრებაში განცხადება შეიტანა; სთხოვა სახელმწიფო სათათბიროს შეატყობინეთ, რომ საჭიროა გლეხობა უფლებებით გაუთანასწორდეს დანარჩენ მცხოვრებლებს, საჭიროა ფართო თვითმართველობა და წვრილი ერობა, საჭიროა ყოველივე ბეგარის მოსპობა, შემოღება გადასახადის შემოსავალზე, სანადელო გადასახადის მოსპობა, სახაზინო, სამონასტრო და კერძო ადგილების გლეხობაზე გადაცემა, საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, ღვდლების ამორჩევა და ღვდელმსახურებაზე ყოველივე ფასის მოსპობა.

**პეტერბურგი.** ოდესაში და ოდესის მაზრაში სამხედრო წესები ახსნილია.

**კოპენჰაგენი.** გადაწყვეტილია, რომ პრინცი კარლო ნორვეგიის მეფედ იქნება. სტორტინგის გადაწყვეტილება ამ კვირას მოხდება.

**ლონდონი.** გაზეთები მოითხოვენ, რომ მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღოს მაროკოში დაჭერილ ინგლისელ აფიცრების განთავისუფლებლად.

**ვაშინგტონი.** აქ შესაძლოდ მიაჩნიათ უსიამოვნების დაწყება ინგლისსა და ამერიკელებში სათევზაოს გამო.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარით განმარტა, რომ სოფლის რწმუნებულთა ასარჩევად სოფლებში საზოგადოების განსაკუთრებულ ყრილობების შექმნა არ არის საჭირო, და რომ ამ რწმუნებულების არჩევა შეუძლიანთ იმათ, ვინც ამ ყრილობებში აქამდე მონაწილეობა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

პეტერბურგის ბირჟა, 4 ოქტომბერი.
სამ-თვიან თამასუქების კურსი:

| | |
|---|---|
| ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ. | 93,75 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | — |
| პარიჟისაზე 100 ფრანკში | — |
| ჩეკები ლონდონისაზე | 94,70 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 5¼—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 88½ |
| 4%-ანი სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4½ შინაგანი სესხ. 1893 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. [illegible] | [illegible] |
| 5% პირ. შინ. მოგ. ბილ. 1864 წ. | 460¼ |
| 5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ. | 350½ |
| 5% გირ. ფურც. სახ. სათავ.-მამ. ბანკ. | 285½ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ. | — |
| 5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა | — |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% გირ. ფურც. ქუთ. სათავ.-მამ. ბანკისა | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 192½ |
| ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი | 10150. |

## განცხადებანი

**შემთხვევით**

**და შეღავათიანის პირობებით ისყიდება დიდკაცური აგარაკი,**

ქუთაისიდან ორის ვერსის მანძილზე. სახლი 6 ოთახიანია, ქვისა. ბაღი 800 საჟ. ვენახი 600 საჟ. მუხის ტყე — ქორაფი — 2 დესეტინა. მთელი მამული სულ 24 დესეტინაა. პირობების შეტყობა შეიძლება ქუთაისში **ბ ნ ხოპერიასთან,** ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ბაგრატიონისა. ტფილისში — მამულის პატრონთან, ავჭალის ქუჩა № 82. (5—2)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში,
აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
**ნაწერები**
**კატრე უმიკაშვილისა**
**გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.**
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

Поступили въ продажу новыя книги
Г. Туманова:
КЪ ВВЕДЕНІЮ НА КАВКАЗѢ ЗЕМСКАГО САМОУПРАВЛЕНІЯ.
Сборникъ матеріаловъ, съ сибирскимъ проектомъ, ц. 20 к.
Характеристики и воспоминанія.
книга 2 я.
Содержаніе. И. И. Свѣдѣнцовъ (Ивановичъ).—В. Л. Величко.—Макс. Горкій на Кавказѣ.—Г. Сундукіанцъ.—А. Цагарели.—Еще объ А. Казбекѣ и З. Антоновѣ.—Д. Ведребисели.—Абс. Іоаннисіани. Ис. Е. Питоевъ.—С. К. Зубаловъ.—П. Умикашвили.—А. Нанеишвили —кн. Н. Д. Мингрельскій.—Итоги недавняго кавк. управленія (кн. Голицынъ).—Изъ театрльныхъ воспоминаній, ц. 50 к, 1—1.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Октября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.